დაფინანსებულია ევროპის კავშირის მიერ

დიასპორული საინვესტიციო მექანიზმები

ნინა მატიაშვილი
უფროსი მრჩეველი
დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

სახელმწიფო მინისტრის მიმართვა

დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი დღენიადაგ ცდილობს თავისი საქმიანობით სარგებელი მოუტანოს უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებს: შეუმსუბუქოს მათ ცხოვრება და საამისოდ შესთავაზოს მათ თანამედროვე ნოვაციური მექანიზმები. ქვემოთ მოყვანილ ნაშრომში თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი დიასპორულ მეწარმეობასთან, საერთაშორისო ფულად გზავნილებთან, საინვესტიციო მექანიზმებთან, და სხვა ინოვაციურ ფინანსურ ინკლუზიურ სისტემებთან დაკავშირებული საინტერესო დეტალები.

აღნიშნულით დაინტერესება და გაცნობა ვფიქრობთ, ახალ გამოცდილებას შესძენს და გაამდიდრებს უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა ხედვას მსოფლიოში მიმდინარე პროგრესული, ნოვაციური დიასპორული მექანიზმების მიმართებით.

მსურს, გაწეული შრომისთვის მადლობა გადავუხადო წიგნის ავტორს, ქალბატონ ნინა მატიაშვილს, ასევე ყველა ორგანიზაციასა და ადამიანს ვინც ხელი შეგვიწყო ამ მნიშვნელოვანი ნაშრომის გამოცემაში.

დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი
გელა დუმბაძე

სარჩევი

წინასიტყვაობა **3**

თავი 1: დიასპორული მეწარმეობა **7**

თავი 2: საერთაშორისო ფულადი გზავნილები **10**
ფულადი გზავნილები ქვეყნების შემოსავლიანობის მიხედვით 10
ფულადი გზავნილების წილი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში 12
ევროპა და ცენტრალური აზია 14
ფულადი გზავნილების პროფილი: სომხეთი 16
ფულადი გზავნილების პროფილი: ტაჯიკეთი 17
ფულადი გზავნილების პროფილი: საქართველო 18
პაკისტანის ფულადი გზავნილების სახელმწიფო ინიციატივა 21

თავი 3: დიასპორული ინვესტიციების მოდელები **23**
მოტივირების კონცეპტუალური მოდელი 23
ფინანსური ინვესტირების მოდელი 24
ინვესტირების სოციალური მოტივები 25
ინვესტირების ემოციური მოტივები 27
საქართველოში დიასპორულ ინვესტიციებზე კვლევის ანალიზი 29

თავი 4: დიასპორული საინვესტიციო მექანიზმები **34**
სადეპოზიტო ანგარიშები 34
ამერია ბანკის პროფესიული გამოცდილება 37
ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის დიასპორული კაპიტალის საინვესტიციო პროექტი 41

თავი 5: საქართველოში დიასპორული რესურსების მობილიზება ფინანსური განვითარებისათვის **48**
დიასპორის პროფილი 48
შემოთავაზებული ვარიანტები 50
შემნახველი ანაბრები უცხოურ ვალუტაში 51
დიასპორული ობლიგაციები 54
საინვესტიციო ფონდები 56
ფულადი გზავნილებით გამყარებული ობლიგაციები 57
დასკვნა 58

წინასიტყვაობა

უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების სახით საქართველოს უზარმაზარი ინტელექტუალური და ფინანსური რესურსი გააჩნია. ქართული დიასპორა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში.

დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი ცდილობს გააძლიეროს დიასპორის, როგორც ქვეყნის სოციალური განვითარების უმნიშვნელოვანესი ელემენტის როლს.

ბოლო ერთი წლის განმავლობაში, სამშობლოში დიასპორული მეწარმეობის ხელშეწყობის, დიასპორული ინვესტიციების მოზიდვისა და დიასპორული ფინანსური რესურსების მობილიზაციის მიზნით, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა განახორციელა შემდეგი:

- განავითარა თანამშრომლობა და გააფორმა ურთიერთგაგების მემორანდუმი ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან (USAID), რომელიც მიზნად ისახავს მიგრანტი ქართველებისათვის სამშობლოში კომერციულ სასოფლო სამეურნეო საქმიანობაში მონაწილეობის, ასევე ქალთა მფლობელობაში მყოფი აგრო-ბიზნესების ხელშეწყობას, ერთობლივი ღონისძიების "დაფუძნებული სასოფლო–სამეურნეო საწარმოების როგორც სამოდელო ნიმუშები" ორგანიზებას და "პილოტური კომერციული სოფლის" დაფუძნებას.

- დაამყარა თანამშრომლობა მსოფლიო ბანკთან საქართველოში და მსოფლიო ბანკის მიგრაციისა და ფულადი გზავნილების სამმართველოსთან ვაშინგტონში. შედეგად, 2015 წლის 27 მაისს, დიასპორის დღეს, ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს რომლის მიზანია: სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ფულადი გზავნილების შესწავლა; საქართველოში დიასპორული ობლიგაციების დაფუძნების პერსპექტივების შეფასების პოლიტიკის კოორდინაცია; დიასპორული საინვესტიციო ინსტრუმენეტების შესახებ ფინანსური ცოდნის ამაღლება, და რეგიონში ფულადი გზავნილების ზეგავლენის თაობაზე კვლევების განხილვა; ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის ინოვაციური ფინანსირების ინიციატივების შემუშავება; "დიასპორის საინვესტიციო მექანიზნების" წიგნის გამომცემლობის მასალების დამუშავების მხარდაჭერა; საერთაშორისო ფულადი გზავნილებისა და დიასპორის საკითხებზე მსოფლიო ბანკის მიგრაციისა და გზავნილების

განყოფილებასთან თანამშრომლობის გაღრმავება. სხვადასხვა სემინარების, სწავლებების, სიმპოზიუმებისა და ასევე ერთობლი რეგიონალური დიასპორული ეკონომიკური ღონისძიებების ორგანიზება .

- დაამყარა თანამშრომლობა საერთაშორისო დიასპორული ჩართულობის ალიანსთან (IdEA), რომლის წევრიც დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი 2014 წლის 1 აგვისტოს გახდა. IdEA ალინასი დაარსებულია ქალბატონი ჰილარი კლინტონის ინიციატივით, რომლის დამფუძნებლები არიან აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, USAID და საინვესტიციო ფონდი Calvert Foundation.

აღსანიშნავია, რომ 2014 წლის 12-18 ოქტომბერს, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა IdEA ალიანსთან თანამშრომლობით, საქართველოში პირველად გაუკეთა ორგანიზება ,"გლობალურ დიასპორულ კვირეულს", რის შედეგ, ჩვენი თანამემამულეების სამშობლოში მაქსიმალური ჩართულობის მიზნით, გაიმართა ინოვაციური ღონისძიებები: "დიასპორული ეკონომიკური ფორუმი", "დიასპორული მარათონი", ისტორიული დიასპორის კონფერენცია; ვიდეო კონკურსი: "დიასპორა-ხიდი-სამშობლო", დიასპორული კვლევის პრეზენტაცია და დიასპორელი მხატვრების ნამუშევრების გამოფენა.

2015 წლის 27 მაისს, დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატსა და საერთაშორისო დიასპორის ჩართულობის ალიანსს (IdEA) შორის რეგიონალური პარტნიორობის ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

- განახორციელა თანამშრომლობა აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის გლობალური პარტნიორობის ოფისთან, რის შედეგად 2015 წლის 8-15 მარტს დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა პირველად მიიღო მონაწილეობა ქ. ვაშინგტონში, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტში, გამართულ გლობალური პარტნიორობის ფორუმში, სადაც სახელმწიფო მინისტრი გელა დუმბაძე პირადად შეხვდა აშშ სახელმწიფო მდივნის ჯონ კერის სპეციალურ წარმომადგენელს, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის გლობალური პარტნიორობის ოფისის ხელმძღვანელს Andrew O’Brien-ს;

- დაამყარა თანამშრომლობა ამერია ბანკთან, რომელიც პირველი ბანკია სომხეთის რესპუბლიკის ბაზარზე, რომელმაც სომხეთის დიასპორის რესურსების მობილიზაციისა და მათთან კავშირის გაძლიერების მიზნით,

შექმნა დიასპორული საბანკო სერვისები. ამერია ბანკთან თანამშრომლობის ფარგლებში, ვაწარმოებთ დიასპორასთან ურთიერთობის გამოცდილებების ურთიერთგაცვლას, რეგიონში ფულადი გზავნილების ნაკადების ეკონომიკურ დამოკიდებულებასა და დიასპორული საინვესტიციო მექანიზმების ეფექტუნარიანობის გაზიარებას.

- დაამყარა თანამშრომლობა ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის დიასპორულ კვლევით ცენტრთან და საშუალებას აძლევს ქართულ დიასპორას მონაწილეობა მიიღოს ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის დიასპორული კაპიტალური ინვესტიციის პროექტში, რომელიც ახორციელებს და ავრცელებს დიასპორული ინვესტიციებისა და მისი როლის შესახებ სწავლებას.

დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

მადლობას უხდის ევროკავშირს და ლტოლვილთა დანიის საბჭოს წიგნის: "დიასპორის საინვესიტიციო მექანიზმები“ გამოქვეყნებისთვის;

მადლობას უხდის საქართველოს პრემიერ მინისტრთან არსებულ ეკონომიკურ საბჭოს, საერთაშორისო დიასპორული ჩართულობის ალიანსს, ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტს, საქართველოს ეროვნულ ბანკს, და სომხეთის ამერია ბანკს წიგნის მასალების შედგენისთვის გაწეული თანამშრომლობისთვის;

განსაკუთრებულ მადლობას უხდის მსოფლიო ბანკს, ქართული დიასპორის ფინანსურ რესურსებზე შემუშავებული დოკუმენტისთვის, რომელიც სპეციალურად წიგნისთვის „დიასპორული საინვესიტიციო მექანიზმების“ დამზადდა, მსოფლიო ბანკის მიგრაციისა და ფულადი გზავნილების სამმართველოს წამყვანი სპეციალისტების მიერ.

თავი 1: დიასპორული მეწარმეობა

დიასპორელ მეწარმეთა ინვესტიციები წარმოშობის ქვეყნებში სამუშაო ადგილების შექმნის, ინოვაციების სტიმულირებისა და საკომუნიკაციო ქსელების გაფართოების საწინდარია. სამეწარმეო ინვესტიციები დიასპორის წარმომადგენლებს საკუთარი სახსრების უშუალოდ განკარგვის შესაძლებლობას აძლევს. ისინი სხვა ინვესტორებზე უფრო ხშირად ბედავენ წარმოშობის ქვეყნებში ბიზნეს საქმიანობის დაწყებას. პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული გარემოს ცოდნა, პირადი კავშირები და ენის ფლობა მათ სხვებთან შედარებით უპირატესობას ანიჭებს.

1970-იანი წლებიდან მოყოლებული, მეცნიერები სწავლობენ ემიგრანტთა სამეწარმეო საქმიანობის ეკონომიკურ ეფექტს მიგრაციის დანიშნულების ქვეყნებში. კვლევებმა აჩვენა, რომ მათ მიერ შექმნილი მცირე და საშუალო საწარმოების როლი მნიშვნელოვანია ადგილობრივი ეკონომიკისათვის. მაგალითად, კვლევამ, რომელმაც "სილიკონის ველზე" მცხოვრები ინდოელი და ჩინელი მეწარმეების საქმიანობა შეაფასა, აჩვენა, რომ ემიგრანტების მიერ დაარსებულმა კომპანიებმა აშშ-ში 45,000 ადამიანი დაასაქმეს, ხოლო მათ მიერ 2006 წელს მიღებულმა შემოსავალმა 52 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა.

დიასპორელ მეწარმეებს ასევე შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ წარმოშობის ქვეყნების ეკონომიკის განვითარებაში, რამდენადაც:

- **დიასპორული მეწარმეობა ხელს უწყობს ბიზნესის განვითარებას, სამუშაო ადგილების შექმნას და ინოვაციების დანერგვას.** დიასპორის წარმომადგენელთა მიერ განხორციელებული წარმატებული ინვესტიცია ხელს უწყობს სამუშაო ადგილებისა და კონკურენტული გარემოს შექმნას.
- **პირდაპირი დიასპორული ინვესტიცია ქმნის ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ კაპიტალს გლობალური ქსელების მეშვეობით.** ღარიბი ქვეყნები შედარებით იზოლირებულნი არიან ვაჭრობის, კაპიტალისა და ინფორმაციის გლობალური ნაკადებიდან. დიასპორის წარმომადგენლებს კი უპირატესობა გააჩნიათ, რადგან აქვთ საშუალება დაუკავშირდნენ პარტნიორების ფართო წრეს როგორც წარმოშობის, ასევე დანიშნულების ქვეყნებში. ეს კავშირები კარგი საფუძველია ინვესტიციების განხორციელების, ვაჭრობისა და "აუთსორსინგისთვის". ისინი ხელს უწყობენ სტრატეგიულ პარტნიორობას, პოლიტიკურ და ფინანსურ კაპიტალზე წვდომასა და ცოდნისა და ტექნოლოგიების გადაცემას. დიასპორელ მეწარმეებს ასევე უკეთ შეუძლიათ გამოიყენონ იაფი მუშახელი და მდიდარი საკადრო პოტენციალი წარმოშობის ქვეყნებში.
- **დიასპორული მეწარმეობა ზრდის სოციალურ კაპიტალს კულტურული გარემოსა და ენის უკეთ ცოდნის შედეგად.** სხვა მეწარმეებთან შედარებით, დიასპორის წარმომადგენლებს გააჩნიათ ისეთი უპირატესობები, როგორც არის კულტურული და სოციალური ნორმების, ბიზნესის წარმოების კულტურისა და ენის ცოდნა. ასეთი ცოდნა

აღრმავებს ნდობას და ხსნის სხვა ინვესტორებისა და მეწარმეებისთვის დახურულ შესაძლებლობებს.

დღეისათვის კარგად არის შესწავლილი დიასპორების ზეგავლენა ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის სექტორების განვითარებაზე ჩინეთში, ინდოეთში, ირლანდიაში და ისრაელში. დიასპორელმა მეწარმეებმა ამ ქვეყნებში შექმნეს "ვენტორული კაპიტალი", დაამყარეს კავშირები სავაჭრო ქსელებთან, ხელი შეუწყვეს ტექნოლოგიებისა და ცოდნის გადაცემას და განავითარეს სპეციალური ეკონომიკური ზონები.

მავრიკიის შემთხვევა – 2005 წელს გაუვიდა ვადა ბოჭკოვანი ნაწარმის შესახებ შეთანხმებას, რომელიც მთელი ორმოცი წლის მანძილზე ტექსტილისა და ტანსაცმლის წარმოებაში განვითარებადი ქვეყნებისათვის პრეფერენციულ კვოტებს ითვალისწინებდა. სექტორის ლიბერალიზაციამ გაზარდა კონკურენცია სფეროში, რომელიც მავრიკიის ეკონომიკის დასაყრდენს წარმოადენდა. უმუშევრობის მზარდმა მაჩვენებელმა და ეკონომიკის დასუსტებამ მთავრობა აიძულა დაფიქრებულიყო თუ როგორ დაებრუნებინა ქვეყანა მდგრადი განვითარების გზაზე. დიასპორული ქსელების გამოყენება ერთ-ერთ მთავარ სტრატეგიულ მიმართულებად იქცა.

2005 წელს მთავრობამ დაამტკიცა ეკონომიკური რეფორმის ათწლიანი პროგრამა. 2007 წელს მავრიკიაში გაამარტივეს ბიზნესის მართვის კანონმდებლობა, რამაც მცირე და საშუალო ბიზნესს განვითარების ხელსაყრელი გარემო შეუქმნა. რესტრუქტურიზაცია განიცადა რამდენიმე სახელმწიფო სააგენტომ, მათ შორის მცირე საწარმოებისა და რეწვის განვითარების სააგენტომ, საინვესტიციო საბჭომ და მავრიკიის საწარმომ. აღნიშნული რეფორმების შედეგად მთავრობამ მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია მოიზიდა. მათი საერთო მოცულობა 2.5 მილიარდი რუპიადან (2005 წელი) 11.4 მილიარდ რუპიამდე (2008 წელი) გაიზარდა. ასევე გაიზარდა მცირე და საშუალო საწარმოთა რაოდენობა – 75,000-დან (2002 წელი) 92,000-მდე (2007 წელი). ეკონომიკური რესტრუქტურიზაციის გარდა, მავრიკიამ დაიწყო კონკურენტული და ცოდნაზე დამყარებული წარმოების ხელშეწყობა საინფორმაციო ტექნოლოგიების, ფინანსების მართვისა და სამედიცინო სფეროებში.

ინდურმა დიასპორამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ინდოეთის ეკონომიკის განვითარებაში, განსაკუთრებით კი საინფორმაციო ტექნოლოგიების სექტორში. 1980-იანი წლების დასასრულს, შეერთებულ შტატებში დასაქმებულმა ბევრმა ინდოელმა ინჟინერმა საინფორმაციო ტექნოლოგიების კომპანიებში მაღალ თანამდებობას მიაღწია. მრავალმა მათგანმა დაიწყო ზრუნვა ახალგაზრდა ინდოელი პროგრამისტების მოსამზადებლად და მიიწვია ისინი საკუთარ საწარმოებში. რაც უფრო მეტი დიასპორის წარმომადგენელი იყო დაკავებული მეწარმეობით აშშ-ში, მით უფრო იზრდებოდა მათი როლი ინდოეთში საინფორმაციო ტექნოლოგიების მხარდაჭერისა და ზრდის პროცესში.

1992 წელს სან-ფრანცისკოში მცხოვრებმა ინდოელმა ინჟინრებმა დააარსეს კომპანია "ინდუსი მეწარმეები", რომლის მიზანიც იყო "სილიკონის ველზე" დამწყები ინდოელი მეწარმეების მხარდაჭერა და

ხელშეწყობა. "ვენტორული კაპიტალის" ინდუსტრიის განსავითარებლად ორგანიზაციამ მნიშვნელოვანი ლობირება გასწია ინდოეთში კანონმდებლობის რეფორმირებისათვის. აშშ-ის კორპორაციების ინდური წარმომავლობის ხელმძღვანელებმა საკუთარ კომპანიებს ურჩიეს "აუთსორსინგი" ინდოეთში განეხორციელებინათ. ბევრი ინდოელი შეერთებული შტატებიდან სამშობლოში დაბრუნდა, რომ აუთსორსონგის პროექტებს და ინვესტიციებს ჩადგომოდა სათავეში და მოემზადებინა ინდოელი პერსონალი შეერთებული შტატების სტანდარტების შესაბამისად. საბოლოოდ, დიასპორის აქტიურობამ ინდოეთი აქცია საქონლის და სერვისების ექსპორტის წყაროდ და კვლევისა და განვითარების სფეროებში ინვესტიციების დაბანდების მიმზიდველ ქვეყნად.

ინდური დიასპორის მაგალითი გვიჩვენებს, რომ დიასპორული მეწარმეობის ხელშემწყობი პოლიტიკა ქვეყნის ეროვნული განვითარების სტრატეგიის მნიშვნელოვანი კომპონენტი შეიძლება იყოს.

ჩინეთის გარდაქმნა 21-ე საუკუნის გლობალური ეკონომიკური ძალად იყო ურთიერთობებისა და განვითარების პრიორიტეტების ცვლილებათა შედეგი. ბოლო ათწლეულების მანძილზე ქვეყანაში კერძო ბიზნესის სწრაფი განვითარება განპირობებული იყო იმითაც, რომ ამ პროცესში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ უცხო ქვეყანაში ნამყოფი და გამოცდილი ჩინეთის დიასპორის წარმომადგელები. ჩინეთის მთავრობამ მოახერხა ეტაპობრივად შეემცირებინა ამერიკის შეერთებულ შტატებზე დამოკიდებულება, მოახდინა ფოკუსირება დიასპორულ ინვესტიციებზე და გააძლიერა ჩინეთში ერთ-ერთი უმთავრესი ინვესტორის, ე.წ. "ბამბუკის ქსელის" როლი,

1978 წლიდან ჩინეთის ლიდერმა დენ შიაოპინმა (Deng Xiaoping) სათავე დაუდო "ღია კარის" ეკონომიკურ პოლიტიკას. ჩინურმა კერძო ბიზნესმა ძალიან სწრაფი ტემპით დაიწყო ზრდა - ისე როგორც ბამბუკის ხე იზრდება წვიმიანი ამინდის შემდეგ. ჩინეთის დიასპორელმა მეწარმეებმა დაიწყეს ბიზნეს კავშირების განვითარება მთელს ჩინეთში. ამ პერიოდში ჩინეთში განხორციელებული ინვესტიციების 80%-ს სწორედ დიასპორული ინვესტიციები შეადგენდა.

"ბამბუკის ქსელის" წევრებმა განახორციელეს მოცულობითი ინვესტიციები ჩინეთში. ქსელი დაარსდა 1940 წელს მიგრაციაში წასული ჩინელების მიერ. მათ დატოვეს საკუთარი სახლები და გაემგზავრნენ სხვა ქვეყნებში, სადაც მუშაობდნენ თავდაუზოგავად, აგროვებდნენ ფულს და წამოიწყეს მცირე ბიზნესი. ასეთი მცირე, საოჯახო ბიზნესების უმრავლესობა დღეს უმსხვილესი და ძლიერი კომპანიებია. ისინი რეგიონში ძირითადი ეკონომიკური მოთამაშეები გახდნენ მათი ბიზნესი მალე გავრცელდა მთელს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში და მის ფარგლებს გარეთ.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დასავლური კომპანიები დიდმა ნაწილმა (კოკა-კოლა, მოტოროლა, კრაისლერი და სხვ.), რომლებიც ჩინურ ბაზარზე შევიდნენ, ბიზნეს საქმიანობა "ბამბუკის ქსელის" პარტნიორებთან ერთად დაიწყო.

თავი 2: საერთაშორისო ფულადი გზავნილები

ბოლო ათი წლის განმავლობაში მნიშნელოვნად შეიცვალა გლობალური მიგრაციისა და ფულადი გზავნილების მაჩვენებლები. გაიზარდა ემიგრანტების რაოდენობა და ასევე გაიზარდა მათ მიერ სამშობლოში გაგზავნილი თანხები.

გაეროს 2013 წლის მონაცემებით, მსოფლიოში ემიგრანტების რაოდენობა 232 მილიონია (1990 წელს 154 მილიონი იყო), რაც დედამიწის მოსახლეობის 3.2%-ს შეადგენს. ემიგრანტთა 48% ქალია.

1995 წელს საერთაშორისო ფულადი გზავნილები მსოფლიოში $56 მილიარდი იყო, 2013 წლისათვის ის $435 მილიარდამდე გაიზარდა. მსოფლიო ბანკის 2014 წლის მონაცემებით, საერთაშორისო ფულადი გზავნილები განვითარებად ქვეყნებში 5% გაიზარდა და $435 მილიარდი შეადგინა. 2015 წლისთვის ნავარაუდევია 4.4% პროცენტიანი მატება და გზავნილების მოცულობა $454 მილიარდს გაუტოლდება.

2013 წლის მონაცემებით, ფულადი გზავნილების უმსხვილესი მიმღები ქვეყანაა ინდოეთი ($70 მილიარდი). სხვა მხვილი მიმღები ქვეყნები არიან ჩინეთი - $60 მილიარდი, ფილიპინები - $25 მილიარდი, მექსიკა - $22 მილიარდი, ნიგერია - $21 მილიარდი, და ეგვიპტე - $17 მილიარდი. ლიდერთა ათეულში შედის ასევე უკრაინა - $10 მილიარდი.

ფულადი გზავნილები ქვეყნების შემოსავლების მიხედვით

ემიგრანტები მეტწილად იმ ქვეყნებიდან არიან, რომელთაც მსოფლიო ბანკი საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებს უწოდებს და სადაც



ილუსტრაცია 1: ფულადი გზავნილების მიმღები ტოპ 10 ქვეყანა, მილრდ აშშ დოლარი

მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე $1,036-დან $12,615-მდე მერყეობს.

საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებმა ყველაზე მეტი ფულადი გზავნილი მიიღეს (71% 2013 წლისთვის).

დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში მიღებული ფულადი გზავნილები მცირედით გაიზარდა და 2013 წლისთვის გზავნილების მხოლოდ 6% შეადგინა. მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში ფულადი გზავნილების წილი კი 2013 წლისთვის 40%-დან 23%-მდე შემცირდა.

აღსანიშნავია, რომ საშუალო და დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში მიღებული ფულადი გზავნილები დაახლოებით სამჯერ მეტია, ვიდრე საერთაშორისო განვითარების დახმარებები, რომლებსაც ეს ქვეყნები იღებენ.

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, მსოფლიოში ფულადი გზავნილების ნაკადმა 2000 წლიდან 2013 წლამდე $500 მილიარდს გადააჭარბა. აქედან საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებმა $363 მილიარდი მიიღეს.



ილუსტრაცია 2: მთლიანი ფულადი გზავნილების ქვეყნის შემოსავლის ჯგუფების მიხედვით 2000-2013. წყარო: მსოფლიო ბანკი.

2009 წელს საშუალო შემოსავლის ქვეყნებში ფულადი გზავნილების შედარებით შემცირდა, თუმცა მომდევნო წელს დაფიქსირდა სწრაფი ზრდა, რამაც 2008 წლის მონაცემებს გადააჭარბა. 2009 წლიდან 2013 წლამდე პერიოდში ფულადი გზავნილები საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში 24%-ით გაიზარდა.

მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში, 2009 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისის დროს ფულადი გზავნილები შემცირდა, ხოლო დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში შემცირება არ დაფიქსირებულა.

როგორც ვნახეთ, მსოფლიო ბანკის 2013 წლის მონაცემებით ჩინეთი

და ინდოეთი არიან ყველაზე დიდი რაოდენობით ფულადი გზავნილების მიმღები ქვეყნები. რაც შეეხება სხვა საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებს, მათ შორის ლიდერობენ ფილიპინები - $26 მილიარდი, მექსიკა - $22 მილიარდი, ნიგერია - $21 მილიარდი.

2013 წლის მონაცემებით მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნებს შორის ფულადი გზავნილების 5 ყველაზე დიდი მიმღები ქვეყანაა საფრანგეთი - $22 მილიარდი, გერმანია - $15 მილიარდი, ბელგია - $11 მილიარდი, ესპანეთი - $10 მილიარდი, სამხრეთ კორეა - $9 მილიარდი. ამერიკის შეერთებული შტატები $6 მილიარდით მეცხრე პოზიციას იკავებს.

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, მსოფლიოს უღარიბესი ქვეყნების სიას სათავეში უდგას ბანგლადეში - $15.2 მილიარდი, შემდეგ მოდიან ნეპალი - $5.4 მილიარდი, ტაჯიკეთი - $4.1 მილიარდი, ბირმა - $2.5 მილიარდი, ყირგიზეთი - $2.3 მილიარდი.

მაღალი შემოსავლის ქვეყნები		**საშუალო შემოსავლის ქვეყნები**		**დაბალი შემოსავლის ქვეყნები**	
საფრანგეთი	21.6	ინდოეთი	70.0	ბანგლადეში	15.2
გერმანია	14.7	ჩინეთი	60.2	ნეპალი	5.4
ბელგია	10.8	ფილიპინები	26.1	ტაჯიკეთი	4.1
ესპანეთი	10.0	მექსიკა	22.0	მიანმარი	2.5
სამხრეთ კორეა	9.0	ნიგერია	21.0	ყირგიზეთი	2.3
იტალია	7.7	ეგვიპტე	20.0	ჰაიტი	1.7
პოლონეთი	7.3	პაკისტანი	14.9	კენია	1.3
რუსეთი	6.4	ვიეტნამი	10.7	უგანდა	1.0
აშშ	6.3	უკრაინა	9.3	ეთიოპია	0.6
პორტუგალია	4.0	ინდონეზია	7.9	ავღანეთი	0.5

მილიარდი აშშ დოლარი

ილუსტრაცია 3: ფულადი გზავნილების მიმღები ტოპ-10 ქვეყანა შემოსავლიანობის ჯგუფების მიხედვით. წყარო: მსოფლიო ბანკი.

ფულადი გზავნილების წილი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში(მშპ)

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში ფულადი გზავნილების ეკონომიკური მნიშვნელობა უფრო დიდია, ვიდრე საშუალო ან დიდი შემოსავლების მქონე ქვეყნებში.

ღარიბ ქვეყნებში ფულადი გზავნილების წილი მთლიანი შიდა პროდუქტში, როგორც წესი, უფრო მაღალია. 2012 წლის სტატისტიკით ყველაზე მაღალი პროცენტული წილი - 52% იყო ტაჯიკეთში, 31% - ყირგიზეთის რესპუბლიკაში, 25% - ნეპალსა და მოლდოვაში.

2000 წლიდან ფულადი გზავნილების ნაკადი მსოფლიოში თითქმის



ილუსტრაცია 4: ფულადი გზავნილების მიმღები ტოპ-10 ქვეყანა მშპს პროცენტული წილის მიხედვით.

გასამმაგდა და განიცადა მხოლოდ 1 წლიანი ვარდნა ფინანსური კრიზისის დროს.

2009 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისის დროს ფულადი გზავნილების მოცულობა ერთი წლის განმავლობაში შემცირდა 7%-ით ($30 მილიარდით) $420 მილიარდამდე. თუმცა 2010 წელს კვლავ დაფიქსირდა ემიგრანტების ფინანსური ნაკადების ზრდა და საერთაშორისო ფულადმა გზავნილებმა $452 მილიარდი შეადგინა, რაც მეტია ვიდრე 2008 წლის მონაცემები ($450 მილიარდი).

2009 წლიდან მსოფლიო ბანკი აღიარებს ფულადი გზავნილების დიდ მნიშვნელობას გლობალური ეკონომიკის, მათ შორის, ქვეყნების კრედიტუნარიანობისათვის. ამჟამად მსოფლიო ბანკი გასცემს უფრო მეტ სესხებს დიდი რაოდენობით ფულადი გზავნილების მიმღებ ქვეყნებში.

ემიგრანტების გადაადგილებებსა და ფულადი გზავნილების ნაკადების ცვლილებებს გააჩნიათ როგორც რეგიონული, ასევე ეკონომიკური განზომილება. 1990–2013 წლებში ჩრდილოეთ ამერიკა და შუა აღმოსავლეთის ქვეყნები გახდნენ მიგრაციის ყველაზე მზარდი დანიშნულების ადგილები. ემიგრანტთა მხოლოდ მცირე ნაწილი ცხოვრობს აზიაში და აფრიკის კონტინენტზე.

გლობალური ეკონომიკური ფაქტორები და ემიგრანტების გეოგრაფიული მდებარეობა სრულ თანხვედრაში არიან. ემიგრანტები ძირითადად მიდიან და სახლდებიან მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში, რაც ასევე იწვევს ცვლილებებს გლობალურ ეკონომიკაში.

2013 წელს ევროპისა და ცენტრალური აზიის განვითარებადმა ქვეყნებმა ფულადი გზავნილების სახით მიიღეს $42.6 მილიარდი, რაც წინა წელთან შედარებით 10%ით მეტია. აღსანიშნავია, რომ რუსეთი რეგიონში ფულადი გზავნილების უდიდესი წყაროა. ამ წელს ნავთობისა

და გაზის მყარი ფასები დაეხმარა რუსეთის ეკონომიკას უმუშევრობის დონე 6%-ზე დაბლა შეენარჩუნებინა. 2014 წელს ყირიმის კრიზისმა და უკრაინის მოვლენებმა გამოიწვიეს რუსული რუბლის გაუფასურება და ფულადი გზავნილების გაურკვევლობა უახლოესი წლების განმავლობაში.

ევროპა და ცენტრალური აზია

- 2013 წელს, ფულადი გზავნილები ევროპასა და ცენტრალურ აზიაში გაიზარდა 10%-ით და მიაღწია $42.6 მილიარდს. სავარაუდოდ, 2014-2016 წლებში ზრდის ტენდენცია შენარჩუნდება, თუმცა უკრაინის კრიზისი მნიშვნელოვან გაურკვევლობას იწვევს.
- 2014 წლის პირველ კვარტალში ფულადი გზავნილების ხარჯები წინა წელთან შედარებით ოდნავ შემცირდა 6.8 %-დან 6.5%-მდე.
- ანტიემიგრანტული განწყობები გაიზარდა ევროპაში, რაც ასევე აისახა შვეიცარიაში გამართულ რეფერენდუმზე, სადაც უმრავლოსაბამ ხმა კვოტების დაწესებას მისცა.
- 2013 წელს 2012 წელთან შედარებით თავშესაფრის მოთხოვნის რაოდენობა გაიზარდა 32%-ით, მოთხოვნათა უდიდესი მიმღები ქვეყანა გერმანია იყო.

როგორც უკვე აღვნიშნეთ რუსეთი არის ფულადი გზავნილების უმსხვილესი წყარო რეგიონში. ქვეყანაში ცხოვრობს დაახლოებით 11 მილიონი ემიგრანტი. მათ შორის უკრაინიდან 2.9 მილიონი, ყაზახეთიდან 2.5 მილიონი, უზბეკეთიდან 1.1 მილიონი. რეგიონში ფულადი გზავნილების უმხვილესი მიმღებია უკრაინა - თითქმის $10 მილიარდი, მას მოჰყვება ტაჯიკეთი და რუმინეთი.

მსოფლიო ბანკის უახლესი მონაცემებით, დსთ-ს ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის ტემპები მკვეთრად შემცირდა 1.5%-ით. ვარდნა ძირითადად უკრაინის კრიზისმა განაპირობა. რუსეთის ეკონომიკის შემცირებამ უარყოფითი გავლენა მოახდინა ვაჭრობასა და ფულად



ილუსტრაცია 5: ყველაზე დიდი ფულადი გზავნილების მიმღები ქვეყნები ევროპასა და ცენტრალურ აზიაში

გზავნილებზე.

მიუხედავად იმისა, რომ პროგნოზის მიხედვით 2014-1016 წლებში ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში ფულადი გზავნილები წლიურად 8%-ით გაიზრდება, მათი შემოდინება მთლიანად გარე რესურსებზეა დამოკიდებული, ამის გამო პერსპექტივა გაურკვეველია.

ნავთობის ფასები და რუბლის კურსი რუსეთიდან ფულადი გზავნილების ორი მთავარი მამოძრავებელია, თუმცა რომელიმე მათგანის ზუსტი წინასწარმეტყველება ძალიან ძნელია უკრაინაში მიმდინარე მოვლენების გამო. 2014 წლის პირველ კვარტალში, ყირიმის კრიზის შედეგად, რუსული რუბლი 10%-ით გაუფასურდა.

აღნიშნულს ემატება რუსეთში სამუშაო ადგილების შემცირება და ანტიემიგრაციული განწყობილებების ზრდა - ახლახანს ქვეყანაში საუბარი დაიწყეს ახალი ინიციატივის შესახებ, რომლის თანახმადაც, უნდა გაუქმდეს სამუშაო ვიზები იმ ემიგრანტებისთვის, რომლებიც რუსეთში ჩასვლიდან ორი თვის ვადაში ვერ დასაქმდებიან, რაც ასევე მიუთითებს იმაზე, რომ ემიგრანტებისთვის რუსეთში სამუშაოდ წასვლა უახლოეს წლებში შესაძლოა ნაკლებად ხელსაყრელი გახდეს.

აღნიშნული პრობლემების მიუხედავად რუსეთის ფედერაცია კვლავ რჩება რეგიონისთვის მიგრაციის დანიშნულების ძირითად ქვეყნად. მაგალითად, სტატისტიკის თანახმად, 2013 წელს ტაჯიკეთი დატოვა 800,000 (მოსახლეობის 10%) ადამიანმა და აქედან 80% წავიდა რუსეთში.

ევროპის ქვეყნები 2008 წლის შემდეგ ცდილობენ ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლას. შესაძლოა ეს პროცესი გაჭიანურდეს. აღნიშნულის დასტური შეიძლება იყოს ისიც, რომ 2013 წელს ესპანეთი გახდა ფულადი გზავნილების ყველაზე დიდი მიმღები ქვეყანა ევროპაში - ადგილზე სამუშაო ადგილების ნაკლებობის გამო სულ უფრო მეტი ესპანელი ტოვებს ქვეყანას სამსახურის საძიებლად.

ფულადი გზავნილების პროფილი: სომხეთი

მოსახლეობა: 3,018,854

მთლიანი შიდა პროდუქტი: $10.43 მილრდ.

მშპ ერთ სულ მოსახლეზე: $8,188

მოსახლეობის წლიური ზრდა: 1.75%

მსოფლიოში მცხოვრებ სომეხთა საერთო რაოდენობა დაახლოებით 11 მილიონია. საერთაშორისო ფულადი გზავნილები ასრულებენ უმნიშვნელოვანეს როლს სომხეთის რესპუბლიკის ეკონომიკაში.

2011 წლის მიხედვით, ფულადი გზავნილები საშუალოდ 38%-ით მეტია ვიდრე მთლიანი ექსპორტი ქვეყანაში, ორჯერ უფრო მაღალია პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე, ამასთანავე რვაჯერ აღემატება საბანკო ნაკადებს და ოთხჯერ უფრო მაღალია, ვიდრე მთავრობის ოფიციალური ფულადი ნაკადების შემოდინება. ფულადი გზავნილები შეადგენს იმპორტის 40%. ფულადი გზავნილების როლი სომხეთის ეკონომიკაში გამორჩეულია - სომხეთი არის 15 უდიდესი ფულადი გზავნილების მიმღებ ქვეყანას შორის.

ბოლო ხუთი წლის სტატისტიკით ფულადი გზავნილების პროცენტულმა წილმა მთლიანი შიდა პროდუქტის 16%-ს მიაღწია (პიკი იყო 2004 წელს, როდესაც ფულადმა გზავნილებმა მშპ-ს 19% შეადგინა).

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 2013 წელს სომხეთში ფულადმა გზავნილებმა შეადგინა ქვეყნის მშპ-ს 21%, რაც მნიშვნელოვნად



ილუსტრაცია 6: ფულადი გზავნილები სომხეთში.

აღემატება საქართველოს, უკრაინისა და აზერბაიჯანის მონაცემებს.

სომხეთში ფულადი გზავნილების 89% შემოდის რუსეთის ფედერაციიდან, იგზავნება აშშ დოლარი უმეტესად ბანკების მეშვეობით.

მსოფლიო ბანკის პროგნოზების მიხედვით, 2015 წელს სომხეთის ეკონომიკა გაიზრდება 3.3%-ით. შედარებისთვის, წინა წელს 5%-იანი ზრდა იყო დაფიქსირებული.

ოფიციალური ინფორმაციით, ფიზიკური პირების არაკომერციული ფულადი გზავნილები რუსეთიდან სომხეთში შემცირდა $10 მილიონით, ანუ 6.9%-ით.

მარტო სექტემბერში "რუსული" თანხების გადმორიცხვა მკვეთრად შემცირდა, რასაც მოყვა ფულადი გზავნილების 6.1% შენელება სომხეთში. თუმცა, ინდივიდების თანხების გადმორიცხვა გაიზარდა თითქმის $1.7 მილიონამდე, ანუ 7.4%-ით.

მიუხედავად იმისა, რომ ფულადი გზავნილები შემცირდა რუსეთიდან, სომხეთში ფულადი გადმორიცხვების უმთავრეს წყაროს წარმოადგენს.

ფულადი გზავნილების პროფილი: ტაჯიკეთი

მოსახლეობა: 8,208,000

მოსახლეობის წლიური ზრდა: 1.75%

სამუშაო ძალა (მილიონი, 2013წ): 2.209

მშპ ერთ სულ მოსახლეზე: $2.300

მშპ-ს ზრდის კოეფიციენტი: 7.4%

უმუშევრობის დონე: 2.5%

ინფლაცია: 3.7%

ბიუჯეტი (მილიარდი): 2.435

ტაჯიკეთი არის დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყანა, რომელიც უკვე დიდი ხანია მსოფლიოში ფულად გზავნილებზე ყველაზე მეტად დამოკიდებულ ქვეყანას წარმოადგენს. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 2013 წელს ტაჯიკი ემიგრანტების მიერ გადმორიცხულმა თანხებმა შეადგინა $4 მილიარდი - ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 52%. ეს რიცხვი 2010 წელს შეადგენდა 45.5%, ხოლო 2012 წელს - 48%.

ტაჯიკეთში თითქმის ყველა ფულადი გზავნილი რუსეთიდან მოდის. ქვეყანა გამოირჩევა ემიგრაციის მაღალი დონით და ფულადი გზავნილები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მოსახლეობის ეკონომიკურ კეთილდღეობაში. ტაჯიკი ემიგრანტების დაახლოებით 89% რეგულარულად უგზავნის ფულს საკუთარ ოჯახს ან ნათესავებს. გზავნილები წარმოადგენენ სიღარიბის დაძლევის უმთავრეს ბერკეტს. ტაჯიკეთის შრომისა და ჯანმრთელობის სამინისტროსა და საემიგრაციო სამსახურის მონაცემების მიხედვით ტაჯიკი ემიგრანტების 93% მუშაობს რუსეთის ფედერაციაში, დაახლოებით 5% კი ყაზახეთში.

ეს თანხები ემიგრანტთა ოჯახებითვის ფინანსური პრობლემების

მოგვარების უმთავრესი წყაროა, თუმცა მათი უდიდესი ნაწილი მინიმალური საარსებო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად იხარჯება.



ილუსტრაცია 7: ფულადი გზავნილები ტაჯიკეთში.

ფულადი გზავნილების პროფილი: საქართველო

მოსახლეობა: 4,490,500

მოსახლეობის წლიური ზრდა: 0.15%

მთლიანი შიდა პროდუქტი: $16.5 მლრდ.

მშპ ერთ სულ მოსახლეზე: $3,681

მშპ წლიური ზრდა: 4.8%

მსოფლიო ბანკის კლასიფიკაციით, საქართველო ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის საშუალოზე დაბალ შემოსავლიან ქვეყანათა ჯგუფს მიეკუთვნება, ერთ სულ მოსახლეზე 3,681 აშშ დოლარის მოცულობის მთლიანი შიდა პროდუქტით. მთელ მსოფლიოში სამუშაო ძალის მობილურობის ზრდასთან ერთად, საქართველოდან მოსახლეობის ემიგრაციის განმაპირობებელ ფაქტორთა შორის უმთავრესია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა და უმუშევრობის მაღალი დონე. მიუხედავად იმისა, რომ, მეზობელ ქვეყნებთან შედარებით, ქართული დიასპორა უცხოეთში მრავალრიცხოვანი არ არის, მოსახლეობისა და ეკონომიკის დამოკიდებულება ფულად გზავნილებზე მნიშვნელოვანია.

2014 წლის მონაცემებით, უცხოეთიდან საქართველოში შემოსულმა ფულადმა გზავნილებმა ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 8.7%, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე 321 აშშ დოლარი შეადგინა. თუ რამდენად დიდია ამ ნაკადების ეკონომიკური მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკისათვის, ამაზე

ნათლად მეტყველებენ ცხრილში მოყვანილი ინდიკატორები:

	2011	**2012**	**2013**	**2014**
ფულადი გზავნილები, მლნ აშშ დოლარი	**1,268.1**	**1,334.2**	**1,477.0**	**1,440.8**
პროცენტულად:				
მშპ-სთან	8.8	8.4	9.2	8.7
მიმდინარე ანგარიშის ბალანსთან	68.9	72.1	159.3	89.7
საქონლისა და მომსახურების ექსპორტთან	24.2	22.2	20.6	20.5
საქონლის ექპორტთან	39.3	38.6	35.2	36.1
მომსახურების ექსპორტთან	62.8	52.1	49.5	47.3
პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან	113.5	146.4	156.8	113.3

ილუსტრაცია 8: ფულადი გზავნილების განმაზოგადებელი ინდიკატორები.

ამდენად, საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების მოცულობა 2011-2014 წლებში საქონლისა და მომსახურების ექსპორტიდან მიღებული თანხების მეხუთედს აჭარბებს და დაახლოებით 1.3-ჯერ მეტია იმავე პერიოდში ქვეყანაში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადებზე. საგულისხმოა აგრეთვე, რომ ფულადი გზავნილების ნაკადები ზემოაღნიშნულ პერიოდში თითქმის უტოლდებოდა საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებულ შემოსავლებს და 1.5-ჯერ სჭარბობდა სატრანსპორტო მომსახურების ექსპორტის შემოსავლებს.

საქართველოში ფულადი გზავნილების გეოგრაფიული სტრუქტურა ძირითადად უცვლელია. თუმცა, 2014 წელს ასეთი ნაკადების შემოდინების ინტენსივობა შესუსტდა ქართველების ემიგრაციის ძირითად ქვეყნებში (რუსეთი, უკრაინა) საომარი მოქმედებებისა და პოლიტიკური არასტაბილურობის გამო.

ქვემოთ მოტანილ გრაფიკზე წარმოდგენილია უცხოეთიდან ფულადი გზავნილების სტრუქტურა იმ ძირითადი პარტნიორი ქვეყნების მიხედვით, საიდანაც 2014 წლებში გზავნილების მოცულობა საერთო მოცულობის 2 პროცენტს აჭარბებდა.



ილუსტრაცია 9: ფულადი გზავნილების სტრუქტურა, 2014.

საგულისხმოა, რომ უცხოეთიდან ფულადი გზავნილების დინამიკას ახასიათებს ერთი ტენდენცია წლების განმავლობაში - ისინი შედარებით დაბალია წლის დასაწყისში, სტაბილურად იზრდება ნოემბრის ჩათვლით და პიკს აღწევს დეკემბერში, რაც მიმღებების საახალწლო მზადების



ილუსტრაცია 10: ფულადი გზავნილების წლიური ტენდენცია

მხარდაჭერას უკავშირდება. სავარაუდოდ ეს ტენდენცია მიუთითებს ფულადი გზავნილების დანიშნულების უცვლელობაზე - მეტწილად მიმდინარე სამომხმარებლო ხარჯები, ვალების გასტუმრება, სწავლის დაფინანსება (როგორც ზოგიერთი კვლევის შედეგები უჩვენებს), და ნაკლებად გრძელვადიანი ინვესტიციები.

პაკისტანის ფულადი გზავნილების სახელმწიფო ინიციატივა

პაკისტანის ფულადი გზავნილების ინიციატივა (PRI) წარმოადგენს საზღვარგარეთ მცხოვრები პაკისტანელების საკითხთა სამინისტროს, პაკისტანის ფინანსთა სამინისტროსა და პაკისტანის ეროვნული ბანკის ერთობლივ სახელმწიფო ინიციატივას, რომელიც 2009 წელს დაიწყო.

პროექტის მიზანია სამშობლოში ფულადი გზავნილების გადარიცხვები გახადოს უფრო სწრაფი, იაფი, მოსახერხებელი, ეფექტური და ამასთანავე უზრუნველყოს ქვეყანაში ფულადი გზავნილების წახალისება.

დაარსების დღიდან, პაკისტანის ფულადი გზავნილების პროექტის მიერ გადაიდგა ნაბიჯები იმისთვის, რომ გაძლიერებულიყო სამშობლოში ფულადი გზავნილების მიღება ფორმალური ფინანსური არხებით. ინიციატივა მოიცავდა შემდეგ საქმიანობებს:

- ფულადი გზავნილების ეროვნული სტრატეგიის მომზადება;
- სტრატეგიის შესასრულებლად ყველა საჭირო ნაბიჯის გადადგმა;
- ფინანსური ინსტიტუტებისათვის კონსულტაციების გაწევა ბიზნეს გეგმების მოსამზადებლად, საზღვარგარეთელ პარტნიორებთან ურთიერთობების დასამყარებლად და ფულადი გზავნილების სხვადასხვა ეფექტური სისტემების შექმნა;
- საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეებისათვის ფინანსური მომსახურების საკოორდინაციო ცენტრის ჩამოყალიბება, უფასო ცხელი ხაზის ნომრებისა და მიზნობრივი ვებ გვერდების შექმნა.

ბოლო წლების განმავლობაში ფულადი გზავნილების ნაკადი პაკისტანში მნიშვნელოვნად გაიზარდა - $6.1 მილიარდიდან (2007-2008 წლები) - $13.2 მილიარდამდე (2011-2012 წლები).

გზავნილების მნიშნელოვანი ზრდა დაფიქსირდა 2012 წელს. წლის პირველ 4 თვეში იგი $4.3 მილიარდს შეადგენდა, რაც 23%-ით მეტი იყო წინა წლის იდენტურ პერიოდთან შედარებით. ასეთი შთამბეჭდავი შედეგები მოჰყვა ფულადი გზავნილების ინიციატივასაც.

ქვეყანაში განხორციელდა ფულადი გზავნილების სისტემის დეტალური ანალიზი შემდეგი მიმართულებებით:

- ფულად გზავნილებთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვება, შესაბამისი ბაზის ანალიზი;
- სისტემის სუსტი მხარეებისა და შეფერხებების იდენტიფიცირება;
- ფულადი გზავნილების წახალისების უახლესი საერთაშორისო მიღწევების შესწავლა გლობალურ და რეგიონალურ ჭრილში;
- ადრე შექმნილი სქემების შეფასება და ძველი პრაქტიკის შედეგებზე ინფორმაციის შეგროვება.

ანალიზის შედეგად, ფულადი გზავნილების ინიციატივამ მოახდინა ყოვლისმომცველი სტრატეგიის ფორმულირება, რომელიც მიზნად ისახავს ადგილობრივი ფინანსური სექტორების მიერ უფრო მეტ ვალდებულებას

სამშობლოში ფულადი გზავნილების სერვისების გამარტივებასთან დაკავშირებით და შეღავათიანი ფულადი გზავნილების სერვისების დანრეგვას, ფულადი გზავნილების ბაზრის მეტ გამჭირვალობას, მომხმარებლის ინტერესების ადეკვატურ დაცვას და ეფექტური საგადახდო სისტემის მოწყობას.

ინიციატივის შემწეობით და ფინანსური ინსტიტუტების ჩართულობით ქვეყანაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ფულადი გზავნილების რაოდენობა. ინოვაციური ფინანსური სერვისების რეალიზაციამ გაზარდა გადმორიცხვების რაოდენობა და ბაზარზე შექმნა კონკურენტუნარიანი გარემო.

ფულადი გზავნილების ინიციატივამ ასევე წაახალისა ბანკები, რათა მათ შეექმნათ ფულადი გზავნილების ცენტრები, რაც ამჟამად ხორციელდება მიკროსაფინანსო ბანკებისა და საფოსტო ქსელის ერთობლივი თანამშრომლობით.

ინიციატივა აწარმოებს სასწავლო პროგრამებს ფულადი გზავნილების მომსახურების შესახებ, მათ შორის, გზავნილების, როგორც ბიზნეს პროდუქტის განვითარების ხერხებზე, ელექტრონული გზავნილების სტრუქტურულ მოდელებზე, გზავნილების ეფექტური მიწოდების პროცესებზე და ა.შ.

ამასთანავე, პროექტი ეხმარება ფინანსურ ინსტიტუტებს პაკისტანში საზღვარგარეთ მცხოვრებ პაკისტანელებთან კომუნიკაციისა და მომსახურების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაში.

პაკისტანის ეროვნულმა ბანკმა გადადგა ბევრი ნაბიჯი ქვეყანაში საგადახდო სისტემის გასავითარებლად. ამჟამად ბანკთაშორისი ფულადი გზავნილების ტრანზაქციებისათვის ანგარიშსწორების მექანიზმი (PRISM-RTGS) გამოიყენება, რომელმაც საშუალება მისცა ბანკებს, რომ ბანკთაშორისი ტრანსაქციები განახორციელონ უმოკლეს დროში.

გარდა RTGS მექანიზმისა, ფულადი გზავნილების ტრანზაქცია ასევე ხორციელდება ელექტრონული საგადახდო ინსტრუმენტების საშუალებით, რაც საგრძნობლად ამცირებს გადარიცხვების დროს.

იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს საიმედო და დროული კავშირი მომხმარებლებთან, პროექტმა დანერგა სადღეღამისო უფასო ცხელი ხაზი. ყველა საზღვარგარეთ მცხოვრებ პაკისტანელს და ასევე მათი ოჯახის წევრებს სამშობლოში შეუძლიათ ისარგებლონ ცხელი ხაზით და მიიღონ ინფორმაცია ფულადი გზავნილების სერვისების შესახებ.

თავი 3: დიასპორული ინვესტიციების მოდელები

რატომ ანხორციელებენ დიასპორები ინვესტირებას მშობლიურ ქვეყნებში?

მოტივირების კონცეპტუალური მოდელი

21-ე საუკუნეში ემიგრანტები მაქსიმალურად იყენებენ ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სფეროებში არსებულ მიღწევებს, იმისთვის რომ კავშირი შეინარჩუნონ სამშობლოსთან. გლობალური მედია ემიგრანტებს სამშობლოდან ინფორმაციის მუდმივი ნაკადით უზრუნველყოფს და უქმნის კომუნიკაციის მარტივ შესაძლებლობას. ტრანსნაციონალური პოლიტიკური, ბიზნესისა და კულტურული ორგანიზაციები როგორც ფიზიკურად, ასევე ფსიქოლოგიურად აკავშირებენ ემიგრანტებს და მათ შთამომავლებს წინაპრების საგვარეულო სახლებთან.

ეს კავშირები ქმნის ემიგრანტების სუბკულტურას, “სათვისტომოებს”, რომელთა წევრებიც "ავლენენ ძლიერ კავშირს საკუთარ სამიგრაციო ისტორიასთან და აქვთ თანაეთნიკურობის განცდა მსგავსი ისტორიის მქონე სხვა პირებთან".

სათვისტომო არის "სოციალური სფერო, რომელიც აკავშირებს მშობლიურ ქვეყანას და რეალური ბინადრობის ქვეყანას". ფსიქოლოგიური კავშირი, რომელიც დიასპორის წევრებს აქვთ მშობლიურ ქვეყნებთან საშუალებას აძლევთ მათ შეინარჩუნონ კავშირები და იყვნენ ჩართულნი სამშობლოს ცხოვრებაში.

ბევრ განვითარებად ქვეყანაში, სათვისტომო წარმოადგენს ინვესტორების მნიშვნელოვან ჯგუფს. მაგალითად, 1979–1995 წლებში ჩინური სათვისტომოს მიერ განხორციელებულმა ინვესტიციებმა ჩინეთის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) 80% შეადგინა.

მრავალი განვითარებადი და გარდამავალი ქვეყანა, რომელთათვის რთულია კონკურენცია საინვესტიციო კაპიტალის მისაღებად, სათვისტომოს ინვესტიციების მოსაზიდად იყენებს. აღნიშნული სტრატეგია განსაკუთრებით სასარგებლო აღმოჩნდა იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც არადიასპორული ინვესტორებისათვის ნაკლებად მიმზიდველნი შეიძლება იყვნენ მცირე შიდა ბაზრის, განუვითარებელი ინფრასტრუქტურის, ან სხვა სტრუქტურული მახასიათებლების გამო.

მაგალითად, 1998-2004 წლებში, დიასპორის ინვესტიციებმა სომხეთში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 25% პროცენტი შეადგინა. სათვისტომოთა ინვესტიციები მასშტაბური იყო ავღანეთშიც - ავღანეთის სატელეკომუნიკაციო ბაზრის ლიდერი კომპანია, 25 მილიონი დოლარის ღირებულების კოკა-კოლას ჩამომსხმელი ქარხანა და ავღანეთის პირველი საცალო სავაჭრო ცენტრი ავღანური დიასპორის მიერ დაარსდა.

ტრადიციულად მიჩნეულია, რომ საინვესტიციო გადაწყვეტილებები ეფუძნება მხოლოდ ფინანსური მოგების მოლოდინს. თუმცა, ეკონომიკის ფსიქოლოგიისა და საერთაშორისო ბიზნესის სფეროებში ჩატარებული კვლევების შედეგად გამოითქვა ვარაუდი, რომ საინვესტიციო მოტივაცია გაცილებით რთული ფენომენია. ზოგადად, ემოცია არ მონაწილეობს ეკონომიკურ ინვესტიციებში, თუმცა, დიასპორული ინვესტირება არის

გრძნობებისა და პირადი შეხედულებების ერთობლიობა, რომელიც ამოძრავებს დიასპორის წევრებს შექმნან სოციალური პასუხისმგებლობის მქონე კომპანიები. მოგების მაქსიმიზაცია არ წარმოადგენს დიასპორელი ინვესტორების ერთადერთ საზრუნავს.

სომხეთის, კუბის, ირანისა და პალესტინის დიასპორების საინვესტიციო მოტივაციის კვლევაში ორი ფსიქოლოგიური დეტერმინანტი გამოვლინდა: ალტრუიზმი და ეთნიკური სიახლოვის აღქმა.

კვლევები დიასპორების მხრიდან სამშობლოში ინვესტირების მოტივაციის შესახებ საკმაოდ მწირია. პირველმა სისტემურმა ნაშრომმა ამ თემაზე, ისრაელში ებრაული ინვესტიციების კვლევამ, დაადასტურა, რომ ამერიკელმა ებრაელებმა ისრაელში დიდი რაოდენობით ფულადი სახსრების ინვესტიცია განახორციელეს იმის მიუხედავად, რომ ისინი ამას მაღალი რისკის მქონე წამოწყებად თვლიდნენ. ებრაული დიასპორის საინვესტიციო პროცესზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა არა მხოლოდ მოგების მოლოდინმა, არამედ ძლიერმა ფსიქოლოგიურმა კავშირმა, რომელსაც დიასპორის წევრები ინარჩუნებდნენ სამშობლოსთან. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ალტრუიზმი და ეთნიკური სიახლოვის აღქმა პოზიტიურად იყო დაკავშირებული ებრაული სათვისტომოების მხრიდან სამშობლოში ინვესტირების ინტერესთან.

დიასპორის წევრების საინვესტიციო მოტივაცია შეიძლება აიხსნას ფინანსური, სოციალური და ემოციური მოგების მოლოდინით. მისი მამოძრავებელი რამდენიმე ძირითადი ფაქტორია: ა) დიასპორის წევრების სოციალური ჩართულობის ხარისხი, ბ) საზოგადოების გავლენის ინტენსიურობა, და გ) ეთნიკური სიახლოვის აღქმის დონე.

არსებობს ვარაუდი, რომ დიასპორის თითოეულ წევრს გააჩნია კონკრეტული მოტივაცია, რაც ხელს უწყობს მათ საინვესტიციო გადაწყვეტილებებს - ზოგი მათგანი შეიძლება დაინტერესებული იყოს ფინანსურ მოგების მოლოდინით, სხვებს შესაძლოა ამოძრავებდეთ სათვისტომოების შიგნით სოციალური აღიარება ან თუნდაც ემოციური კმაყოფილება, რასაც ისინი მოელიან მშობლიურ ქვეყნებში ინვესტირების შემთხვევაში.

ფინანსური ინვესტირების მოდელები

ფსიქოლოგიური ფაქტორები ხშირად ასრულებენ მნიშვნელოვან როლს საინვესტიციო რისკების და ფინანსური მოგების შეფასების დროს. ფულის შოვნის შესაძლებლობა წარმოადგენს ინვესტიციების მთავარ წამახალისებელ ფაქტორს.

დიასპორის წევრებს ინვესტირების განხორციელებისას ასევე შეიძლება ამოძრავებდეთ მშობლიური ქვეყნის მიმართ მიკერძოებული ტენდენცია, ეგრეთ წოდებული "სამშობლოს მიკერძოებული სიყვარული". დიასპორის წევრები ხშირად გათვითცნობიერებულები არიან მშობლიურ ქვეყნებში არსებულ ბიზნესის წარმოებისა და საინვესტიციო შესაძლებლობებში და შესაძლოა იფიქრონ, რომ მათ ფასეული ინფორმაცია გააჩნიათ. ამგვარი ფაქტორები აძლიერებს ფინანსური მოგების მოლოდინს და ზრდის ინვესტირების ინტერესს.

სათვისტომოების წევრების თავდაჯერებულობის დონე, მათი

ინვესტიციების ფინანსური წარმატების კუთხით, უდავოდ ახდენს გავლენას მათ მოლოდინებზე საინვესტიციო რისკისა და მოგების შესახებ. მშობლიური ქვეყნის ბიზნეს გარემოს ცოდნამ, წარსულმა გამოცდილებამ, ან ადგილობრივმა კონტაქტებმა შესაძლოა დაარწმუნოს დიასპორის წევრი, რომ სამშობლოში ინვესტირება მას მოგებას მოუტანს. თუმცა, სხვა ინვესტორების მსგავსად, ისინიც ასევე შეიძლება იყვნენ მოწყვლადი გადამეტებული საინვესტიციო თავდაჯერებულობის გამო.

გადაწყვეტილების მიმღებთა ძირითადმა მიდრეკილებამ - რაც გულისხმობს საკუთარი მოსაზრებების კონკრეტულ ინფორმაციაზე დაფუძნებას - ასევე შეიძლება გავლენა მოახდინოს ინვესტიციების რისკების და ფინანსური მოგების შეფასებაზე, რაც ქმნის ინვესტიციების განხორციელებისათვის უფრო მეტ ინტერესს. მაგალითად, დიასპორის ზოგიერთი წევრი ეყრდნობა დიასპორის სხვა წევრების რწმენას, რომ მათ მშობლიურ ქვეყანას საინვესტიციო პოტენციალი გააჩნია. მათ შესაძლოა დაამყარონ საკუთარი შეხედულება ასეთ ნაკლოვან ინფორმაციაზე და იმოქმედონ სხვა მონაცემების მიუხედავად, რომელიც მათ უფრო ნეგატიურ გარემოს აღუწერს.

მსგავსმა ფაქტორებმა შესაძლოა წარმოშვან აღქმა, რომ დიასპორის წევრები ფლობენ ცოდნას და გააჩნიათ უპირატესი სოციალური კაპიტალი არადიასპორულ ინვესტორებთან შედარებით.

ეთნიკური სიახლოვის აღქმის როლი

ეთნიკური სიახლოვის აღქმის კონცეფცია ეფუძნება სათვისტომოების წევრების რწმენას, რომ მათ ემუქრებათ ნაკლები რისკი, უფრო კარგად ესმით სამომხმარებლო პრეფერენციები და გააჩნიათ ბიზნეს გარემოს უკეთესი ხედვა, უკეთესი ცოდნის და სამშობლოში სოციალური კაპიტალის არსებობის გამო. ამ რწმენამ შეიძლება გაზარდოს ალბათობა, რომ დიასპორის წევრები იქნებიან ფინანსურად მოტივირებულნი და განახორციელებენ დაბანდებებს. აღნიშნული დასკვნები საშუალებას გვაძლევს ჩამოვაყალიბოთ შემდეგი მოსაზრებები:

- დიასპორის წევრების საინვესტიციო ინტერესი მოტივირებული იქნება **ფინანსური მოგების** შესაძლებლობით.
- დიასპორის წევრების **ეთნიკური სიახლოვის აღქმა** პოზიტიურად იქნება დაკავშირებული ინვესტირების ფინანსურ მოტივებთან.

მაშინ, როდესაც ფინანსური მოგების პოტენციური შესაძლებლობა წარმოადგენს ძლიერ მოტივატორს, იგი სათანადოდ არ მოიცავს ყველა იმ ფაქტორს, რომელმაც შეიძლება მოახდინოს დიასპორის წევრის გადაწყვეტილებაზე განახორციელოს ინვესტირება მშობლიურ ქვეყანაში. არსებობს ინვესტირების არაფინანსურ მოტივაციაც და სოციალური და ემოციური სარგებლის მიღების მოლოდინი.

ინვესტირების სოციალური მოტივები

ადამიანები ბუნებით სოციალური არსებები არიან და საჭიროებენ ურთიერთობას სხვა ადამიანებთან. ისინი წევრიანდებიან ჯგუფებსა და ორგანიზაციებში, რათა დაიკმაყოფილონ ეს მოთხოვნილებები. სათვისტომოებში გაწევრიანებას შეუძლია ნაწილობრივ დააკმაყოფილოს

დიასპორის წევრი. ემიგრანტები ერთიანდებიან დიასპორულ ორგანიზაციებში იმ მაღალი ალბათობის გამო, რომ ისინი მიიღებენ მხარდაჭერას, მიიღებენ ადამიანებთან პოზიტიური ურთიერთობის გამოცდილებას, და გახდებიან სტაბილური გარემოს ნაწილი. წევრობა წარმოადგენს მხოლოდ ერთ-ერთ ინდიკატორს. ადამიანები ხშირად ცდილობენ გააძლიერონ საკუთარი კავშირები კონკრეტულ ჯგუფებთან. მოტივაციის წარმოქმნას ხელს უწყობს ჯგუფის სხვა წევრების მხრიდან აღიარების პროცესი, ვინაიდან იგი სულ უფრო მეტად აკმაყოფილებს სოციალური ურთიერთობების მოთხოვნილებებს და აძლიერებს კავშირებს სხვებთან.

დიასპორის წევრებს შესაძლოა სჯერათ, რომ სამშობლოში საინვესტიციო ღონისძიებებში ჩართულობა ზრდის მათი სოციალური აღიარების ხარისხს. ამდენად, სოციალური აღიარების სურვილი და სარგებელი შესაძლოა მოტივად დაედოს მშობლიურ ქვეყანაში ინვესტირების განზრახვას.

სწრაფვა სოციალური აღიარებისკენ განპირობებულია არა მხოლოდ სურვილით, შეინარჩუნონ სოციალური ურთიერთობები, არამედ იმ შედეგებითაც, რომელიც ამგვარი კავშირების რღვევას შეიძლება მოჰყვეს. ინდივიდები იღწვიან იმისათვის, რომ შეინარჩუნონ ურთიერთობები და თავიდან აიცილონ მათი შეწყვეტა. ამისთვის ადამიანი შეიძლება იყოს მოტივირებული შეასრულოს ესა თუ ის ქმედება, როგორიცაა მაგალითად, ინვესტირების განხორციელება მშობლიურ ქვეყანაში, რომელიც მას მოსალოდნელ აღიარებას მოუტანს.

საინვესტიციო ინტერესის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მამოძრავებელი, რომელიც სოციალური სარგებლის ნაწილია, არის "სამშობლოს წინაშე ვალდებულება". სათვისტომოების წევრებს ხშირად აქვთ "მოვალეობის" ძლიერი განცდა სამშობლოში ინვესტირების განსახორციელებლად. ვალდებულების განცდა, იქნება ის გამყარებული წინა თაობებთან კავშირით თუ ეხლანდელ მეგობრებთან და დიასპორის სხვა წევრებთან ურთიერთობებით, წარმოადგენს მშობლიურ ქვეყნებში საინვესტიციო მიზნების განხორციელების ძლიერ მოტივატორს.

ზოგიერთ შემთხვევაში სამშობლოში ინვესტირება განპირობებულია სამშობლოს დახმარების ვალდებულებით, რომ იგი გახდეს ეკონომიკურად დამოუკიდებელი, რომ შემცირდეს დამოკიდებულება ისეთ გარე რესურსებზე, როგორიცაა დიასპორის ფულადი გზავნილები.

სოციალური ჩართულობის როლი

სოციოლოგიურმა კვლევამ, რომელიც სოციალურ ჩართულობას შეისწავლიდა, ინდივიდების ჩართულობის დონე ორ შემადგენელ ნაწილად დაყო: ურთკავშირების რაოდენობა და სიძლიერე და „სენტიმენტალური ურთიერთობები და ერთგულება“.

თანამედროვე სოციოლოგია დიასპორის წევრებს განიხილავს, როგორც ტერიტორიის არ მქონე ტრანსნაციონალურ სუბიექტებს; მათი სოციალური კონტექსტი მოიცავს, სულ მცირე, ორ განსხვავებულ გეოგრაფიულ სივრცეს - საცხოვრებელი ქვეყნები და მშობლიური ქვეყნები. დიასპორის წევრების სოციალური ჩართულობა დამოკიდებულია

ორივე ქვეყანაში ჩამოყალიბებულ სოციალურ კავშირებზე. ამგვარი კავშირების რაოდენობა და სიძლიერე გავლენას ახდენს ვალდებულებებზე სოციალური სივრცის ორივე გეოგრაფიულ წერტილში.

დიასპორის წევრის ჩართულობის ხარისხი სათვისტომოსა და სამშობლოში ასევე ახდენს გავლენას საინვესტიციო მოგების მოლოდინსა და მათ სოციალურ მდგომარეობაზე ორივე კონტექსტში. პირველ რიგში, დიასპორასა და სამშობლოს თემებს შორის კავშირი ზრდის იმის ალბათობას, რომ დიასპორის წევრის საინვესტიციო ქმედებები აღიარებული იქნება თანამემამულეების მიერ. მეორე მხრივ, მჭიდრო საზოგადოებრივი კავშირებისა და ერთობის ძლიერმა შეგრძნებამ შესაძლოა მნიშვნელოვნად გააძლიეროს დიასპორული ინვესტორის სოციალური აღიარება, რაც საბოლოო ჯამში გამოიწვევს მოტივაციას, რომელიც იმართება სოციალური სარგებელის მიღების პოტენციური შესაძლებლობით.

- დიასპორის წევრების საინვესტიციო ინტერესი მოტივირებულია **სოციალური სარგებლის** მიღების შესაძლებლობით.
- დიასპორის წევრის **სოციალური ჩართულობის ხარისხი სათვისტომოში** პოზიტიურად უკავშირდება ინვესტირების სოციალურ მოტივებს და ამ ურთიერთობაში საზოგადოების გავლენა წარმოადგენს შუალედურ რგოლს.
- დიასპორის წევრის **სოციალური ჩართულობის ხარისხი მშობლიურ ქვეყანაში** პოზიტიურად უკავშირდება ინვესტირების სოციალურ მოტივებს, სადაც ურთიერთობაში საზოგადოების გავლენა წარმოადგენს შუალედურ რგოლს.

ინვესტირების ემოციური მოტივები

ალტრუიზმის ემოციური გრძნობები შესაძლოა ასრულებდეს მნიშვნელოვან როლს, როდესაც სათვისტომოს წევრები სამშობლოში ინვესტირების შესახებ ფიქრობენ.

ალტრუიზმის კონცეფციას პატივს სცემენ უმრავლეს საზოგადოებებში. ბევრგან არსებობენ ძლიერი სოციალური ნორმები, რომლებიც აღიარებენ ალტრუისტული ქცევის მნიშვნელობას და ძალას. დიასპორის წევრები შეიძლება იყვნენ ალტრუისტები და მოტივირებულნი ემოციური სარგებლით, რასაც ისინი მშობლიურ ქვეყნებში განხორციელებული ინვესტიციებიდან იღებენ.

სოციალური ჩართულობის როლი. მოსალოდნელი ემოციური სარგებლის ინტენსივობა, რომელიც ასოცირდება მშობლიურ ქვეყანაში ინვესტირებასთან შეიძლება აიხსნას დიასპორის წევრების სოციალური ჩართულობის დონით ტრანსნაციონალურ სოციალურ სივრცეში. მაგალითად, მშობლიურ თემებში სოციალურმა ჩართულობამ შეიძლება გააძლიეროს სამშობლოში ინვესტირების მოსალოდნელი "სითბო", რადგან ინვესტიციების პოტენციური ბენეფიციარები ხდებიან უფრო პერსონიფიცირებულნი ინვესტორებისათვის.

მშობლიურ ქვეყნებში სოციალურმა კავშირებმა შეიძლება ასევე გააძლიეროს სათვისტომოს წევრთა ფსიქოლოგიური ჩართულობა სამშობლოს სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებაში.

რეალური ბინადრობის ქვეყანაში დიასპორის თემებში ჩართულობამ შეიძლება ასევე მართოს ემოციური ინვესტიციების განხორციელების მოტივაცია; თუ სამშობლოში განხორციელებული ინვესტიციები ჩაითვლება ფასეულად დიასპორის მიერ, ეს დიასპორის წევრს თავს აგრძნობინებს მოტივირებულად.

დიასპორის წევრების საინვესტიციო ინტერესი მოტივირებულია ემოციური სარგებლის მიღების პოტენციური შესაძლებლობით.

ხარისხი, თუ რა მასშტაბით არიან დიასპორის წევრები სოციალურად ჩართულნი თავიანთი სათვისტომოების თემში, - პოზიტიურად უკავშირდება ინვესტირებისადმი მათ ემოციონალურ მოტივებს და მათ ურთიერთობაში შუალედურ რგოლს საზოგადოების გავლენა წარმოადგენს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ არსებობს არაერთგვაროვნების მნიშვნელოვანი ხარისხი სათვისტომოების თემებს შორის და სათვისტომოების ფარგლებში. სათვისტომოები განსხვავდებიან ბიძგი-დაბრკოლების ფაქტორებით, რაც განაპირობებს შესაბამის საემიგრაციო ტალღას. წმინდა შრომითი მიგრაცია, დაბალკვალიფიციური შრომითი მიგრაციისგან განსხვავებით, ქმნის მდიდარ სათვისტომოებს. ზოგიერთ სათვისტომოები, როგორიცაა ავღანეთის თემი შეერთებულ შტატებში, ბოლო პერიოდში შეიქმნა და მოიცავს ძირითადად პირველი თაობის ემიგრანტებს. ხოლო სხვა თემები, როგორიცაა იაპონური დიასპორა ბრაზილიაში არის ხანდაზმული სათვისტომო, რომელიც შედგება სხვადასხვა ემიგრანტთა რამოდენიმე ნაკადისგან.

ინდივიდუალური დონის მოდელები ნათელს ჰფენს, თუ რატომ შეიძლება იყვნენ დიასპორის წევრები დაინტერესებული ინვესტიციების განხორციელებაში და რატომ შეიძლება იყოს განსხვავებული ერთი კონკრეტული დიასპორის თემში მშობლიურ ქვეყანაში ინვესტირების ინტერესი. მრავალდონიანი მოდელი საშუალებას გვაძლევს, შეისწავლოს მიზეზები, რატომ შეიძლება განსხვავდებოდეს დიასპორათა მხრიდან მშობლიურ ქვეყნებში ინვესტირების ინტერესის დონე.

განვითარებადი ქვეყნები წარმოადგენენ საინვესტიციო გარემოს, რომელიც ხასიათდება მაღალი რისკით და გაურკვევლობით. ამ დონის რისკი შესაძლოა მისაღები იყოს გარკვეული დიასპორისათვის მათ საინვესტიციო მოტივაციაზე დაყრდნობით.

სათვისტომოები, რომლებიც უფრო მეტად არიან მიდრეკილნი ემოციური და სოციალური სარგებლის მიღებისკენ, შეიძლება უფრო გახნილნი აღმოჩნდნენ მაღალი რისკის საინვესტიციო გარემოს მიმართ, რადგან მათი სოციალური და ემოციური სარგებელი სავარაუდოდ უფრო მაღალია, და ისინი არ არიან ორიენტირებულნი ფინანსური მოგების გენერირებაზე. ეს ნიშნავს, რომ ინვესტიციების განხორციელება ისეთ ქვეყნებში, რომლებსაც დახმარება მნიშვნელოვნად ესაჭიროებათ, სავარაუდოდ უფრო მძლავრად წარმოშობენ მაღალი დონის სოციალურ აღიარებას. ანალოგიურად, დიასპორებმა შეიძლება მიიღონ უფრო მაღალი „ფსიქოლოგიური სარგებელი“, როდესაც განახორციელებენ ინვესტირებას ისეთ ქვეყნებში, რომლებიც უკიდურესად საჭიროებენ განვითარებას. შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დიასპორები, რომელთა მშობლიური ქვეყნები ნაკლებად განვითარებულნი არიან,

უფრო მოტივირებულნი იქნებიან განახორციელონ ინვესტიციები სოციალური და ემოციური სარგებლის, და არა ფინანსური მოგების მიღების შესაძლებლობის გამო.

საქართველოში დიასპორულ ინვესტიციებზე კვლევის ანალიზი

დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა ჩაატარა კვლევა დიასპორულ ინვესტიციებთან დაკავშირებით. შეიქმნა კითხვარი, რომელიც მაქსიმალურად აფიქსირებს ქართველი ემიგრანტების დამოკიდებულებას სამშობლოში ინვესტიციების განხორციელებასთან დაკავშირებით. კვლევა მიზნად ისახავს განსაზღვროს ქართული დიასპორის წარმომადგენლების საინვესტიციო ინტერესები, კონკრეტულად, თუ რომელი სექტორით არიან ისინი დაინტერესებულნი და როგორ წარმოუდგენიათ მათ სამშობლოში ბიზნესის წარმოება.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 100-ზე მეტმა ქართველმა ემიგრანტმა (55% - მამაკაცი, 45% - ქალი).

კვლევამ აჩვენა, რომ დიასპორული ინვესტიციებით უმეტესად დაინტერესებლნი არიან 20 – 29 წლამდე ემიგრანტები (62%), შემდეგ მოდის 50 – 59 წ. ასაკობრივი ჯგუფი (12%), ხოლო შედეგები დანარჩენი ჯგუფებისათვის დაახლოებით თანაბრად გადანაწილდა.

კვლევაში ასევე ნათლად ჩანს, თუ რა შემხვევაში დააბანდებდნენ ქართული დიასპორის წარმომადგენლები თანხებს სამშობლოში, რესპოდენტების 33% სურს, რომ მათ ითანამშრომლონ საერთაშორისო ინვესტორებთან, 25% დაინტერესებულია სახელმწიფო პროგრამებით და მათი თანამონაწილეობით, 19% სურს ითანამშრომლოს ადგილობრივ მეწარმეებთან, საგრანტო პროგამებით დაინტერესებულია დაახლოებით 9%, ხოლო სხვა სახელმწიფო შეღავათებით დაახლოებით 14%.

ასევე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, თუ რომელი სექტორით არიან დაინტერესებულნი ქართველი ემიგრანტები, რომელთაც სურთ სამშობლოში ინვესტიციის განხორციელება. კვლევის მიხედვით რესპოდენტების 25% დაინტერესებულია ტურიზმის ბიზნესით, შემდეგ



მოდის განათლება 22%, რესპოდენტების 19% სურს, რომ თანხა ჩადოს მცირე და საშუალო წარმოებაში, მხოლოდ 14% დაინტერესებული სასოფლო სამეურნეო სექტორით, შემდეგ მოდის მიკრო-საფინანსო



სექტორი 6% და მედიცინა 4% მაჩვენებლებით.

კვლევის მიხედვით ასევე შესაძლებელი გახდა იმის განსაზღვრა, თუ რა განაპირობებს ქართული დიასპორის წარმომადგენლების მიერ სამშობლოში ინვესტირებას. რესპოდენტების 36% მთავარი



მამოძრავებელ ძალას სამშობლოში დაბრუნების სურვილი წარმოადგენს.

როგორც ნებისმიერი სხვა სახის ინვესტორისთვის, ასევე დიასპორული ინვესტორებისთვისაც მნიშვნელოვანია ინვესტიციის განხორციელებიდან თუ რამდენ ხანში მოხდება თანხის ამოღება. შესაბამისად კვლევა მოიცავს ასევე ამ ინფორმაციასაც და შედეგების მიხედვით რესპოდენტების 45% ფიქრობს, რომ 3 – 5 წლამდე ვადაში შეძლებს ამას. 30% მიიჩნევს, რომ თანხის ამოღება მოხდება დაახლოებით 1 – 2 წლამდე ვადაში. 11% აზრით ამას 6 – 10 წლამდე

დასჭირდება, 3% - 1 წელზე ნაკლები, ასევე 3% 11 – 15 წელი, ხოლო რესპოდენტების 5% მიიჩნევს, რომ მათ ბინზესს თანხის ამოსაღებად 15



წელზე მეტი დასჭირდება.

კვლევის მიხედვით შესაძლებელი გახდა იმის დადგენა, თუ დაახლოებით რამდენი ადამინის დასაქმებას შეძლებს ქართული დიასპორის წარმომადგენლების მიერ განხორციელებული კონკრეტული ინვესტიცია. შედეგების მიხედვით რესპოდენტების 53% ფიქრობს, რომ შეძლებენ დაახლოებით 20-მდე ადამიანის დასაქმებას, 26% მიიჩნევს, რომ მათ მიერ განხორციელებულ ინვესტიციას შეუძლია დაასაქმოს 20 – 40 ადამიანი. 15% აზრით ისინი დაასაქმებენ 60 და მეტ ადამიანს, ხოლო 2% მიიჩნევს რომ 40 – 60 მდე.

კვლევა ასევე მოიცავდა კითხვას იმის შესახებ, მიიღებდნენ თუ არა მონაწილეობას ქართული დიასპორის წარმომადგენლები დიასპორული ფონდის შექმნასა და განვითარებაში, გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ რესპოდენტების უმრავლესობა 84% მზადაა ჩაერთოს აღნიშნულ პროცესში, ხოლო 16% უარი განაცახდა.

თავი 4: დიასპორული საინვესტიციო მექანიზმები

ფულადი გზავნილები ფინანსური სახსრების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს განვითარებადი ქვეყნებისათვის, სადაც ფულადი გზავნილების ნაკადები, ჩვეულებრივ, მნიშვნელოვნად აღემატება პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს. ფულადი გზავნილებს სტაბილურად შემოაქვთ უცხოური ვალუტა და ხელს უწყობენ ქვეყნების საგადახდო ბალანსის შენარჩუნებას.

წარმოშობის ქვეყანაში მიგრაციის სარგებელი ძირითადად ფულადი გზავნილებით გამოიხატება. გზავნილები ზრდიან მიმღები ოჯახების შემოსავლებსა. ეფექტი მნიშვნელოვანია მაკროეკონომიკურ დონეზეც - ფულად გზავნილებთან არის დაკავშირებული გაზრდილი ინვესტიციები განათლებაში, მეწარმეობაში, და ჯანდაცვაში. მათი სოციალური შედეგი, უმეტეს შემთხვევაში, მაღალია.

გზავნილების მნიშვნელობა მიმღები ქვეყნებისათვის მჭიდროდ უკავშირდება მათი განვითარების დონეს. დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნები ბევრად უფრო მეტად არიან დამოკიდებულნი გამოგზავნილ თანხებზე.

არსებული მონაცემები გვიჩვენებენ, რომ ფულადი გზავნილები ძირითადად ოჯახის მოხმარებისთვის განკუთვნილ ფინანსურ ნაკადს წარმოადგენენ, თუმცა ისინი დიასპორებიდან მოსალოდნელი პირადი ფინანსური ნაკადების მხოლოდ ნაწილს შეადგენენ.

დიასპორი სიდიდით გამორჩეული ქვეყნების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ დიასპორა, მიმდინარე შემოსავლების მიღმა, მნიშვნელოვან ფინანსურ აქტივებს ფლობს - მაგალითად, დანაზოგები და საპენსიო ანგარიშები, საკუთრება, ვალები და აქციები. მაგრამ დიასპორების ფინანსური რესურსების მობილიზება და ინვესტიციებში მიმართვა დიდ გამოწვევას წარმოადგენს.

განსხვავების მიუხედავად, განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნების ფინანსური ბაზრები რამდენიმე საერთო პრობლემას აწყდებიან. ნაკლებად განვითარებული ფინანსური სისტემების გამო მცირეა ოფიციალური დანაზოგები, სუსტია მათი საინვესტიციო შესაძლებლობა. ბანკების მხრიდან სესხები გაიცემა ძირითადად მსხვილი და უსაფრთხო მსესხებლებისათვის, რაც პატარა, მაღალი რისკის მქონე მსესხებლებს აიძულებს მიმართონ არაოფიციალურ ბაზრებს. განვითარებადი ეკონომიკის ბევრ ქვეყანაში უცხოელი ინვესტორების მოზიდვა რთული აღმოჩნდა რისკის მაღალი აღქმის, არასტაბილური ვალუტისა და ინფორმაციის ასიმეტრიის გამო. დიასპორებს შეუძლიათ დახმარება გარკვეული პრობლემების დაძლევაში რისკის განსხვავებული აღქმის, საინფორმაციო უპირატესობის და მშობლიურ ქვეყანაში ინვესტირების ინტერესის გამო.

ფინანსური ბაზრის განვითარების მიზნით დიასპორებთან ურთიერთობის პოლიტიკის ძირითადი აქცენტი დღემდე მიგრანტთა ფულად გზავნილებზე კეთდება.

დიასპორების ფინანსური შესაძლებლობების მობილიზების მიზნით, გამოიყენება ხუთი პრაქტიკული მექანიზმი კაპიტალის ბაზრების

მეშვეობით:

- **სადეპოზიტო ანაბრის** განთავსება ადგილობრივ და უცხოურ ვალუტაში
- ფულადი გზავნილების ნაკადების **"სექურიტიზაცია",** რაც ბანკებს საშუალებას აძლევს გზავნილების შემოსავლების "ლევერაჟისთვის" მიიღონ უფრო დიდი დაკრედიტება
- **ტრანსნაციონალური სესხები,** რომელიც საშუალებას აძლევს დიასპორებს შეიძინონ უძრავი ქონება და საცხოვრებელი თავიანთ მშობლიურ ქვეყნებში
- **დიასპორული ობლიგაციები,** რომლებიც საშუალებას აძლევს მთავრობებს სესხით აიღონ გრძელვადიანი ფულადი სახსრები დიასპორებისგან
- **დიასპორული ფონდი,** რომელიც ახდენს ინდივიდუალური ინვესტორების მობილიზებას კორპორატიულ და სახელმწიფო ვალდებულებებში და სააქციო კაპიტალში კოლექტიური ინვესტიციების განხორციელების მიზნით.

შესაძლოა მომავალში ასევე განხილული იქნას ინოვაციური ფინანსური განვითარების სახით დიასპორის კერძო საინვესტიციო ფონდების შექმნა, რათა გაორმაგდეს ხელმისაწვდომობა დაფინანსებაზე და განხორციელდეს ინსტიტუციური ინვესტორების დანაზოგების მობილიზაცია, როგორიცაა, მაგალითად, დიასპორების საპენსიო ფონდი.

დიასპორებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ საშუალედო კაპიტალის ბაზრებზე მათი წარმოშობის ქვეყნებში. მაგალითად, პოლიტიკური ეკონომისტის დევიდ ლებლანგის შეფასებით, 1 პროცენტიანი ზრდა A წყაროს ქვეყნიდან დანიშნულების B ქვეყანაში ემიგრანტთა ფინანსებში ზრდის პორტფელის ინვესტიციებს B ქვეყნიდან A ქვეყანაში 0,2 პროცენტით - ან საშუალოდ $450 პორტფელის ინვესტიციებში თითოულ მიგრანტზე. (რა თქმა უნდა, აქცენტი საშუალოზე არ იძლევა სრულყოფილ წარმოდგენას პოლარიზებული განაწილების შესახებ). ეკონომისტები მარკს გრინბლატი და მატი კელოჰარიუ აცხადებენ, რომ კერძო ინვესტორები ფინეთში ამჯობინებენ იქონიონ ან მიჰყიდონ აქციები იმ ფირმებს, რომელთა აღმასრულებელი დირექტორები იგივე წარმოშობის არიან, თუმცა ამგვარი განწობა სუსტია "ფინანსურად საზრიან ინსტიტუტებში" მოყვარული ინვესტორებისგან განსხვავებით.

სუჰას კეტკარის თანახმად, ლიბანის სახელმწიფო ვალებში ფასების ტენდენცია დიასპორის მნიშვნელოვან როლს ცხადყოფს, თუმცა ქვეყნის საფინანსო ინსტიტუტებს არ მიუმართავთ საინვესტიციო მექანიზმებისათვის დიასპორის ინვესტორების მოსაზიდად. დიასპორის წინაშე ასევე დგას სხვადასხვა მნიშვნელოვანი ბარიერი კაპიტალის საშუალედო ბაზრებზე მონაწილეობის დროს: ხშირ შემთხვევაში მოითხოვება ადგილობრივი საბანკო ანგარიშის შექმნა და ძალზე ცოტა ინვესტორს აქვს შესაძლებლობა ან ცოდნა დამოუკიდებლად მართოს ტრანსნაციონალური პორტფელი.

მიუხედავად იმისა, რომ დიასპორაზე მიმართული საინვესტიციო მექანიზმი შეიძლება იყოს, ან არ იყოს ფართოდ გავრცელებული, მათი

გამოცდილება, რა თქმა უნდა, უფრო მეტად "ცნობადია". ქვემოთ მოყვანილია რამდენიმე მიზნობრივი საინვესტიციო მექანიზმის მიმოხილვა, რომელიც ახლო წარსულში გამოყენებული იყო წარმოშობის ქვეყანაში საინვესტიციო მიზნებისთვის, მათ შორისაა სადეპოზიტო ანგარიშები, ფულადი ნაკადების სექურიტიზაცია, დიასპორული ობლიგაციები და ურთიერთდახმარების ფონდი.

შესაძლოა ადგილწარმოშობის ქვეყნის მთავრობისთვის ნაკლებ ხარჯიანი იყოს სესხის აღება დიასპორებიდან, რადგან ისინი, სხვა ინვესტორებისგან განსხვავებით, სხვაგვარად აღიქვამენ სამშობლოში ინვესტიციების რისკებს. ამ განსხვავებამ შეიძლება მოგვცეს "პატრიოტული შეღავათი" მოსალოდნელ შემოსავალზე, რომელიც მძლავრია პირველი თაობის ემიგრანტთა შემთხვევაში ან როდესაც წარმოშობის ქვეყანა გარე საფრთხის წინაშე დგას. თუმცა, შეღავათი როგორც ჩანს, უარესდება თაობების ცლილებასთან ერთად.

დიასპორები ნაკლებად გასცემენ თანხებს, თუკი მათი სამშობლო განიცდის ფინანსურ პრობლემებს ცუდი მენეჯმენტის გამო. თუმცა ინვესტირება ადგილწარმოშობის ქვეყნებში პატრიოტული მოტივებით, არღვევს ისეთ ძლიერ საინვესტიციო პრინციპს, როგორიცაა მოგების მაქსიმიზაცია - ბევრი ინვესტორი თანახმაა მიიღოს ნაკლებად ოპტიმალური შემოსავალი სხვა მრავალფეროვანი ინვესტიციებისათვის, სოციალურად პასუხისმგებელი ან პროგრესული თანხების სახით.

სხვა ინვესტორების მსგავსად, განვითარებად ქვეყნებში დიასპორები ინვესტიციების დასაფინანსებლად უფრო მეტად ეყრდნობიან აკუმულირებულ დანაზოგებს (ხშირად არაოფიციალურს), ვიდრე კრედიტებს. უფრო ნაკლები მასშტაბით, ზოგიერთ დიასპორას შეუძლია მიიღოს საბანკო კრედიტი მათ საცხოვრებელ ქვეყანაში, რადგან ამ უკანასკნელს, როგორც წესი, აქვს უფრო განვითარებული ფინანსური ბაზარი გააჩნია და ემიგრანტებს ხშირად აქვთ კარგი საკრედიტო ისტორიას, მაგრამ ინვესტიციები, რომლებიც საცხოვრებელ ქვეყანაში აღებული სესხებით არის დაფინანსებული, დიასპორებისგან სავალუტო რისკის გაწევას მოითხოვს (მაგ. დიდი ალბათობა იმისა, რომ ვალუტის კურსი შეიცვალოს და შეცვალოს ინვესტიციის მომგებიანობაც). თუ კრედიტი უზრუნველყოფილია ადგილწარმოშობის ქვეყანაში, ეს რისკი არ არსებობს. დიასპორის ინვესტიცია პორტფელური ინვესტიციების მიზნობრივ მექანიზმებში როგორიცაა ვალდებულება და აქციები დიდ იშვიათობას წარმოადგენს.

გლობალური ინვესტორის და კერძო ინვესტირების თანხების მსგავსად, დიასპორელმა ინვესტორებმა პრობლემებისა და სტრატეგიული განსხვავებების შემთხვევაში ინვესტიციების შეწყვეტის ნაცვლად შესაძლოა უფრო მეტად შეუწყონ ხელი სამშობლოში კორპორაციული მართვის გაუმჯობესებას და იზრუნონ სახელმწიფოს ფისკალური პასუხისმგებლობის ამაღლებაზე.

სადეპოზიტო ანგარიშები

სადეპოზიტო ანგარიშების ფლობა არის ერთ-ერთი ძირითი საშუალება, რომლის მეშვეობითაც დიასპორები ხელს უწყობენ კაპიტალის

ბაზრის განვითარებას წარმოშობის ქვეყნებში. ისინი ზრდიან საბანკო აქტივებს, რაც საშუალებას აძლევს ბანკებს გააფართოვონ დაკრედიტება და შემდგომი ინვესტირება. დიასპორები ინარჩუნებენ სადეპოზიტო ანგარიშებს მათი წარმოშობის ქვეყნებში, როდესაც მათ აქვთ მიმდინარე ფინანსური ვალდებულებები (მიმდინარე ვალდებულებები), ან მოელიან ამგვარ ვალდებულებებს მომავალში (პირობითი ვალდებულებები). მიმდინარე ვალდებულებები შეიძლება მოიცავდეს ფულადი გზავნილების ვალდებულებებს ან საკუთრების მართვას, ხოლო პირობითი ვალდებულებები შეიძლება მოიცავდეს მომავალში საპენსიო გეგმებს. მაგალითად, ეკონომისტების ქრისტიან დასტმენის და იოზეფ მესტრესის შეფასებით, ემიგრანტი ოჯახების დაახლოებით 48% გერმანიაში ფლობს დანაზოგებს წარმოშობის ქვეყანებში. ხშირ შემთხვევაში, დიასპორები ასევე იღებენ ხელსაყრელ პირობებს და საპროცენტო განაკვეთებს ამგვარი ანგარიშების შესანარჩუნებლად.

კაპიტალის ბაზარში ინვესტიციების გარდა, სადეპოზიტო ანგარიშები აფართოებენ ბანკის კაპიტალიზაციას და ხშირად წარმოშობის ქვეყნის კაპიტალის ბაზრებზე მონაწილეობის წინაპირობას წარმოადგენენ:

• ბანკის კაპიტალიზაციის გაფართოება. უმეტეს ქვეყნებში, სარეზერვო მოთხოვნები სადეპოზიტო დაწესებულებებში (ანუ, დეპოზიტები და სხვა აქტივები, რაც ბანკმა უნდა იქონიოს ყოველ კრედიტზე) დგინდება კომპლექსური ფორმულის თანახმად. ორგანიზაციის "საკონსულტაციო ჯგუფი ღარიბი ეკონომიკების დასახმარებლად" (CGAP) მონაცემების თანახმად, განვითარებადი ქვეყნის ბანკი ფლობს 0.52 დეპოზიტს ყოველ ზრდასრულ პიროვნებაზე განვითარებული ქვეყნების დაკრედიტების ლიმიტების 1.77 დეპოზიტთან მიმართებით.

• კაპიტალის ბაზრებზე პირდაპირი მონაწილეობის ხელშეწყობა. ხარჯები, რომლებიც უკავშირდება პირდაპირი ბაზრის საინვესტიციო მექანიზმებს უცხო ქვეყნებში შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი მარეგულირებელი მოთხოვნა. საინვესტიციო მექანიზმის განთავსების ალტერნატივა წარმოშობის ქვეყანაში აუცილებლად ზღუდავს ინვესტორების გაერთიანებას. ასევე, მსესხებელ სუბიექტს აძლევს საშუალებას თავიდან აიცილოს დანიშნულების ქვეყანაში რეგისტრაციის საინვესტიციო მექანიზმი, რომელიც ხშირად რთულ და ძვირადღირებულ პროცესს წარმოადგენს.

მნიშვნელოვანი განსხვავებაა უცხოურ და ადგილობრივ ვალუტებში განთავსებული ანგარიშებს შორის. პირველ შემთხვევაში სავალუტო რისკს იღებს ბანკი, ხოლო მეორე შემთხვევაში - ანგარიშის მფლობელი.

უცხოურ ვალუტაში განთავსებული სადეპოზიტო (FCD) ანგარიში, როგორც წესი, განიხილება მაკროეკონომიკური არასტაბილურობის კონტექსტში, როდესაც ადგილობრივი მეანაბრეები იყენებენ ასეთ ანგარიშებს მათი დანაზოგების რეალური ღირებულების შესანარჩუნებლად (მაგალითად, ლათინურ ამერიკაში 80-იან წლებში, როდესაც ბევრი ქვეყანაში მაღალ ინფლაცია იყო). თუმცა, დიასპორებს შეუძლიათ ასევე გამოიყენონ FCD ანგარიშები, იმისთვის, რომ იქონიონ აქტივები მათი წარმოშობის ქვეყანაში სავალუტო რისკის გაწევის გარეშე.

ასევე მნიშვნელოვანი განსხვავებაა მიმდინარე და ვადიან ანაბრებს

შორის. მიმდინარე ანაბარი მეანაბრეს საშუალებას აძლევს გამოიტანოს თანხა ნებისმიერ დროს (ხშირად, მინიმალური ბალანსის შენარჩუნებით). ვადიან სადეპოზიტო ანაბარს აქვს მკაცრი შეზღუდვები, მაგრამ, ამის სანაცვლოდ, მფლობელი, როგორც წესი, იღებს მაღალ საპროცენტო განაკვეთს. გასაგები მიზეზების გამო ვადიანი დეპოზიტები ნაკლებად სარისკოა, ვიდრე მიმდინარე დეპოზიტები.

ბოლო წლებში, ბევრმა განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკების ქვეყანამ (მაგ. სომხეთი, ალბანეთი, ეთიოპია, ინდოეთი, კენია, ნიგერია, შრი-ლანკა და თურქეთი) განახორციელა საბანკო სექტორის ლიბერალიზაცია დიასპორის დაბანდებათა მოსაზიდად. მაგ. თურქეთის ცენტრალური ბანკი საზღვარგარეთ მაცხოვრებელ თურქული პასპორტის მფლობელ პირებს სთავაზობს უცხოური ვალუტით დენომინირებულ ვადიან სადეპოზიტო ანგარიშებს და "სუპერ FX" ანგარიშს (აშშ-ის სადეპოზიტო სერტიფიკატების ანალოგი). იგი შეიძლება დენომინირებული იქნას ევროში, აშშ დოლარში, ბრიტანულ ფუნტში, ან შვეიცარულ ფრანკში ("სუპერ FX" ანგარიში ხელმისაწვდომია მხოლოდ ევროში და აშშ დოლარში). 2009 წლის ბოლოსათვის არარეზიდენტი თურქები ფლობდნენ დაახლოებით $5,5 მილიონ FCD-ს. 2004 წელს ეთიოპიის ეროვნულმა ბანკმა გასცა უფლებამოსილება FCD ანგარიშების შექმნის შესახებ (აშშ დოლარში, ევროში, ან ბრიტანულ ფუნტში) ეთიოპიის დიასპორის წევრებისათვის - ეთიოპიის მოქალაქეთათვის, რომლებიც ცხოვრობენ საზღვარგარეთ და ეთიოპიური წარმოშობის უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის.

ქვეყნების მხოლოდ მცირე ნაწილმა მოახერხა დიასპორების დარწმუნება გაეხსნათ ანგარიშები ადგილობრივ ვალუტაში (თუმცა, აღანიშნია ისიც, რომ ძნელია ადგილობრივ ვალუტაში გახსნილი დიასპორისა თუ სხვა სადეპოზიტო ანგარიშების განსხვავება). ინდოეთი არარეზიდენტ თანამემამულეებს სთავაზობს იქონიონ დანაზოგები უცხოურ ვალუტაში ან რუპიაში. დაახლოებით $33.6 მილიონია განთავსებული რუპიაში დენომინირებულ ანგარიშებზე. გლობალური კრიზისის გამო ბევრმა არარეზიდენტმა თურქმა და ინდოელმა მეანაბრემ გაიტანა ანგარიშები მათი ადგილწარმოშობის ქვეყნიდან და ბალანსებმა განიცადეს სტაგნაცია რეცესიის წლების განმავლობაში.

და ბოლოს, განვითარებადი და გარდამავალი ქვეყნების რამდენიმე ბანკი შეეცადა გაეხსნა წარმომადგენლობა იმ ქვეყნებში, რომლებიც მასპინძლობენ მათ დიასპორებს და განეხორციელებინა მათი საბანკო მომსახურება. მაგალითად, ინდოეთის ბანკი ICIC აწარმოებს საცალო ოპერაციებს ბრიტანეთსა და კანადაში. "ეკონომისტის" ცნობით, "Banco do Brasil" ბანკი გეგმავს 15 ახალი ფილიალის გახსნას შეერთებულ შტატებში და გავიდეს თითქმის 400,000 თანამემამულეზე. გავრცელებული ინფორმაციით, 2007 წელს ჩინეთის ბანკმა "Minsheng" შეიძინა სან ფრანცისკოში დაფუძნებული UCBH ჰოლდინგის აქციების 10%. ამ ჰოლდინგს ძლიერი პოზიცია ეკავა ჩინელი სათვისტომოების მომსახურების სფეროში. თუმცა 2009 წელს ბანკმა წარუმატებლობა განიცად და „misheng“-მა ჩამოწერა $130 მილიონიანი ინვესტიცია. ახლახანს აშშ-ში გახსნილმა ესპანურმა ბანკმა "BBVA bancomer" მოიზიდა

საემიგრაციო ნაკადები მექსიკიდან.

"დიასპორული საბანკო ანგარიშები" არის ფულადი გზავნილების მობილიზების ერთ-ერთი ყველაზე პრაქტიკული მეთოდი, რომელიც აქტიურად გამოიყენება დიასპორით გამორჩეულ მრავალ ქვეყანაში და ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკის ზრდას. ბევრმა განვითარებადმა ქვეყანამ - ალბანეთმა, სომხეთმა, ეთიოპიამ, ინდოეთმა, კენიამ, ნიგერიამ, შრი-ლანკამ და თურქეთმა - უახლოეს წლებში უკვე მოახდინა საბანკო სექტორის ლიბერალიზაცია და მიზნად დაისახეა დიასპორელი მეანაბრეების მოზიდვა სამშობლოში, დიასპორის საბანკო დაგროვებითი ანაბრების შეთავაზების გზით.

"დიასპორული ანაბრები" ქვეყანაში ზრდის შიდა საბანკო აქტივებს, რაც ბანკებს უფართოებს ინვესტიციების განხორციელების და კრედიტების გაცემის მეტ საშუალებას. შესაბამისად, ბანკებს დიასპორებისთვის შემუშავებული აქვთ სპეციალური მომსახურების პაკეტები, რომლებიც დიასპორის წევრებს სთავაზობენ ხელსაყრელ პირობებსა და საპროცენტო განაკვეთებს სამშობლოში ანაბრების შენარჩუნების მიზნით.

ამერიაბანკის პროფესიული გამოცდილება

ამერია არის ერთ-ერთი უძველესი ბანკი სომხეთში. იგი გახლავთ სწრაფად განვითარებადი ფინანსური ინტიტუტი, რომელიც გამოირჩევა თანამედროვე საბანკო პროდუქტებით. ამერია პირველი ბანკია რომელმაც, სომხეთის დიასპორის ფინანსური რესურსების მობილიზაციისა და მათთან კავშირის გაძლიერების მიზნით, შექმნა დიასპორული ანაბრებისა და ანგარიშების პაკეტები.

ბანკი საშუალებას აძლევს სომხეთის დიასპორას, დააბანდოს ფინანსური რესურსები სამშობლოში, ჰქონდეს პროცენტული დანამატი, და წვლილი შეიტანოს ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში.

შემნახველი ანგარიში "დიასპორა":

http://www.ameriabank.am

მინიმალური დეპოზიტი: 1,000 აშშ დოლარი.

ინტერესი გადახდის/დარიცხვის სქემა	დეპოზიტის ხანგძლივობა: N/A
	წლიური საპროცენტო განაკვეთი
ყოველთვიური	2.2%

დეპოზიტი "სამშობლო":

ინტერესი გადახდის/დარიცხვის სქემა	დეპოზიტის ხანგძლივობა: N/A
	წლიური საპროცენტო სარგებელი
ყოველთვიური	2.0%

მინიმალური დეპოზიტი: 10,000 აშშ დოლარი.

ამ პაკეტით დიასპორელ მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს სხვადასხვა შეღავათებითა და ბონუსებით, სამშობლოში :

- უფასო სადილი პრესტიჟულ რესტორანში
- ერევანში პრესტიჟულ სასტუმროში 3 ღამე
- მანქანის დაქირავება 3 დღე უფასოდ
- ორი დღის განმავლობაში უფასო ტური სომხეთში

პროცენტის დარიცხვა / დაგროვების სქემა	დეპოზიტის ხანგძლივობა, დღე				
	90 -180	181 – 365	366 – 540	541 –1825	1826-ზე მეტი
წლიური საპროცენტო განაკვეთი					
ყოველთვიური	3.0%	3.5%	4.0%	4.25%	შეთანხმებ ით

პროცენტის დარიცხვა / დაგროვების სქემა	დეპოზიტის ხანგძლივობა, დღე				
	90 -180	181 – 365	366 – 540	541 –1825	1826-ზე მეტი
წლიური საპროცენტო სარგებელი					
ყოველთვიური	2.73%	3.20%	3.66%	3.89%	შეთანხმებ ით

სომხურ დიასპორასთან თანამშრომლობის წარმატებული მაგალითი

მსოფლიოში სომხური მოსახლეობის რიცხვი დაახლოებით 10–11 მილიონი გახლავთ. აქედან მხოლოდ 3 მილიონი ცხოვრობს სომხეთის რესპუბლიკაში. დიდი სომხური სათვისტომოებია რუსეთში (2.3 მილიონი), აშშ-ში (1.5 მილიონი), და საფრანგეთში (450 ათასი).

როგორ მოხერხდა სომხურ დიასპორასა და ადგილობრივ სომხურ ბიზნეს შორის ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობის დამყარება? როგორ აღმოჩნდა მსოფლოში ფართოდ გავრცელებული სომხური დიასპორა

სომხური კომპანიების მსოფლიო ბაზარზე შესვლის გასაღები?

* * *

ამერია ჯგუფი სომხური დიასპორის ქსელის წყალობით ჩამოყალიბდა. რუბენ ვარდანიანი, დიასპორის წარჩინებული წარმომადგენელი, ამერიას ერთ-ერთი დამფუძნებელი და ამერია ბანკის საბჭოს წევრია. იგი ცნობილი საინვესტიციო ბანკირია 21 წელზე მეტი გამოცდილებით, რუსეთის კაპიტალის ბაზრის მთავარი ფიგურა, რუსეთში არსებული მრავალი ბიზნესსაბჭოსა და მსოფლიო ბანკის ეკონომიკურ მრჩეველთა ჯგუფის წევრი. 1988 წელს მან დააარსა საკონსულტაციო ფირმა, ამერია ჯგუფი, რომელიც დღეს სომხურ ბაზარზე წამყვან ფინანსურ და საკონსულტაციო ჯგუფს წარმოადგენს.

ამერია ჯგუფმა საქმიანობა 100,000 დოლარის ინვესტიციით დაიწყო. დღეისათვის კი მისი აქტივები 800 მილონ დოლარამდეა გაზრდილი.

2007 წელს ამერიამ წამოიწყო აგრესიული ექსპანსია სომხეთის ფინანსურ სექტორში. რამდენიმე დიასპორელი ინვესტორის წყალობით ჯგუფმა შეიძინა "არმიმპექსპბანკი", ერთ-ერთი უძველესი ფინანსური ინსტიტუტი ქვეყანაში, რომელმაც მალევე დინამიური განვითარება საბანკო სისტემის ქვედა წერტილიდან დაიწყო აღმასვლა დაიწყო.

ამერია ჯგუფმა საქმიანობა განახორციელა რამდენიმე დიდი კვლევა სომხური დიასპორის საინვესტიციო საჭიროებების სტრუქტურისა და გეოგრაფიის გამოსავლენად. კვლევები ჩატარდა სომხური დიასპორის მრავალფეროვნების და ბიზნეს ურთიერთობების კომპლექსურობის გათვალისწინებით,

კვლევის შედეგად ჯგუფმა მიიღო აშშ-ის მიმართულებით დიასპორული ფინანსური სერვისების განვითარების სტრატეგიული გადაწყვეტილება და ყურადღება გაამახვილა ისეთ მნიშვნელოვანი ფაქტორებზე, როგორიცაა სომხური დიასპორის მრავალრიცხოვანი, ეკონომიკური პროგნოზი (მშპ, ინფლაცია და უმუშევრობის დონე) მაკროეკონომიკური დასკვნები, ანაბრების ბაზარი და კურსები, ბაზრის მოცულობა, იურიდიული სტრუქტურა და დიასპორული პროფილი. მაგალითად, დიასპორული ანაბრების ბაზრის მოცულობა აშშ-ში შეადგენს $15 მილიარდს, მაშინ როდესაც რუსეთში და საფრანგეთში მხოლოდ $2-$3 მილიარდს აღწევს

გასათვალისწინებელია ისიც, რომ სომხეთში არაკომერციული ფულადი გზავნილების 90% რუსეთიდანაა ($1.6 მილიარდი დოლარი 2013 წლის მონაცემებით) ხოლო აშშ-დან $82 მილიონი. 2014 წლის პირველი 7 თვის მიხედვით აშშ-ს წილი გაიზარდა 32,9%-მდე და რუსეთის წილი შემცირდა 1,8%-ით. ამერიას კვლევის მეორე ეტაპმა აჩვენა, რომ ამერიკაში მცხოვრები დიასპორელი რესპოდენტების 54% სამშობლოში ინვესტიციით იყო დაინტერესებული, რასაც ქვეყნის მომხიბველი საინვესტიციო გარემო განაპირობებდა.

ამერია ჯგუფმა აქტიურად დაიწყო დიაპსორული საბანკო სერვისების განვითარება და სომხური დაიასპორის საკონსულტაციო მომსახურება. მალე აღნიშნული სერვისები მოთხოვნადი გახდა არამარტო აშშ-ში არამედ სხვა ქვეყნებში არსებული სომხური დიასპორისთვისაც.

ამერია ბანკმა პირველმა დანერგა დიასპორული საბანკო

მომსახურება ქვეყანაში და დაიმსახურა საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეების დიდი ინტერესი. 2011 წელს ამერია ბანკმა მომხმარებლებს შესთავაზა დიასპორული შემნახველი და ანაბრის ანგარიშები ხელმისაწვდომი, მიმზიდველი საპროცენტო განაკვეთებით და გამარტივებული წვდომით.

ამერია ბანკის დისტანციური ბანკინგის მეშვეობით, მანძილი უკვე აღარ წარმოადგენს პრობლემას ინვესტიციისთვის და დიასპორას შესაძლებლობა მიეცა პირადი ვიზიტის გარეშე დააგროვოს და გაზარდოს ფინანსური რესურსები სამშობლოში.

ამერია ბანკმა მომხმარებელს ასევე შესთავაზა ანგარიშის და ანაბრების გახსნის, ბარათებისა და იპოთეკური სესხების დისტანციური სერვისები. სპეციალურად დიასპორისთვის შემუშავებულია საბროკერო მომსახურება. ბანკი მომხარებელს სთავაზობს 24 საათიან სატელეფონო ცხელი ხაზს. მისი მთავარი მისიაა შექმნას ხელმისაწვდომი ფინანსური მომსახურება და აღმოფხვრას მანძილი, როგორც დაბრკოლება დიასპორებისთვის და მათთვის, ვისაც ქვეყანაში ინვესტიცირება სურს.

ამერია დაინტერესებულ დიასპორელ ინვესტორებს უზრუნველყოფს მრავალმხრივი და სრულყოფილი მონაცემებით საინტერესო და მომგებიანი საინვესტიციო შესაძლებლობების შესახებ, ინფორმაციით, რომელიც გადამწყვეტია სომხეთის ბაზარზე შესასვლელად და აცნობს მათ სომხეთის ეკონომიკის რეალურ ვითარებას. ამერიას კლიენტები იღებენ სრულყოფილ ფინანსურ, იურიდიულ, საგადასახადო და მართვის კონსულტაციას.

ამერიას საქმიანობა ადასტურებს, რომ სომხეთში ინვესტიციები და ბიზნესის კეთება მომგებიანია დიასპორის წარმომადგენლებისთვის. ჯგუფმა წარმატებულად გაზარდა სომხეთის მიმართ ნდობა და გაზარდა ინტერესი ქვეყნის ბიზნეს სექტორის მიმართ. საბაზრო კვლევები აჩვენებენ, რომ ჯგუფის მიერ შექმნილი ბრენდის ცნობადობა ერთი წლის მანძილზე რადიკალურად, 40%-ით გაიზარდა.

ქ. ლოს-ანჯელესში განხორცილებული სამუშაოების შედეგად ბანკში გაიზარდა აშშ-ში მცხოვრები დიასპორის წარმომადგენლების ანგარიშების რაოდენობა. (2011 – 2012 წლებში ზრდა 200% იყო). აღსანიშნავია ისიც, რომ 80%-ით გაიზარდა დღიური საშუალო დეპოზიტების რაოდენობა აშშ-ს მოქალაქეების მიერ.

ამერია ჯგუფი განაგრძობს სოლიდური ბაზის შექმნას, იმისათვის, რომ გახდეს სომხური წარმომავლობის პირველი საერთაშორისო ფინანსური და საკონსულტაციო ჯგუფი.

ამერია ბანკის მოწოდებაა იყოს მომსახურების ხარისხისა და ეფექტურობის ლიდერი ბაზარზე, რომელიც აერთიანებს განსაკუთრებულ ადამიანებს საერთო ღირებულებებით.

ჯორჯ ვაშინგტონის დიასპორის კაპიტალის საინვესტიციო პროექტი

პროფ. ლიესლ რიდლი, *საერთაშორისო ბიზნესისა და საერთაშორისო ურთიერთობების ასოცირებული პროფესორი, ჯორჯ ვაშინგტონის დიასპორის კაპიტალის საინვესტიციო პროექტის დირექტორი ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტი, ბიზნესის სკოლა.*

გლობალიზაციამ არა მარტო პროდუქციისა და მომსახურების გაზრდილ ბრუნვას მისცა ბიძგი მსოფლიოში, არამედ, ასევე, ხელი შეუწყო საზღვრებზე ადამიანების მოძრაობის ზრდას. მათი ახალი განსახლების ქვეყნებში, მიგრანტები ხშირად იძენენ ახალ ცოდნას, უნარ-ჩვევებს, სოციალურ კონტაქტებს და ფინანსურ რესურსებს. მიუხედავად იმისა, რომ ისინი შესაძლებელია შორს იყვნენ სამშობლოსგან, მიგრანტები ხშირად ინარჩუნებენ სოციალურ და ფსიქოლოგიურ კავშირებს მათი წარმოშობის ქვეყნებთან და ხშირად მოუწოდებენ შვილებსა და შვილიშვილებს, შეინარჩუნონ ეს კავშირები სამშობლოსთან. "დიასპორის წარმომადგენლები" არიან პირები, რომლებიც "ცხოვრობენ მათი აღთქმული სამშობლოს გარეთ, დამოუკიდებლად ან არა. ისინი განიხილავენ საკუთარ თავს ან განიხილებიან სხვათა მიერ, როგორც მათი სამშობლოს ეროვნული სათვისტომოს წევრებად ან პოტენციურ წევრებად, და ეს რანგი ნარჩუნდება მიუხედავად მათი მოქალაქეობის არსებული სტატუსისა მათი სამშობლოს შიგნით ან გარეთ." დიასპორის კაპიტალი - ადამიანური, სოციალური და ფინანსური - შესაძლებელია იყოს სასარგებლო რესურსი მიგრაციის გამგზავნი ქვეყნების განვითარებისათვის, რომელთაგანაც მრავალი მსოფლიოში კაპიტალის საჭიროების ნაკლებობის მქონეთა შორისაა.

დღეს, მასპინძელი აქტორები, რომლებიც ჩართული არიან სიღარიბის შემცირების ღონისძიებებში - პოლიტიკის შემქმნელები, არასამთავრობო ორგანიზაციები, სოციალურად პასუხისმგებელი ბიზნესები და აკადემიკოსები - სვამენ კითხვას: თუ როგორ შეიძლება იქნას დიასპორის კაპიტალი მობილიზებული და გამოყენებული განვითარების ღონისძიებებში? ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის მკვლევარებმა ჩამოაყალიბეს ინტერდისციპლინარული კვლევითი ჯგუფი, სახელწოდებით ჯორჯ ვაშინგტონის დიასპორის კაპიტალის საინვესტიციო პროექტი, მსოფლიოს განვითარებაში დიასპორის კაპიტალის მნიშვნელოვანი როლის შესწავლის მიზნით. კვლევითი ჯგუფი (1) იკვლევს ამ ტრანსნაციონალური მოძრაობის ძირითად მოტივაციებს, (2) აფასებს ბაზრის პოტენციალს დიასპორის საინვესტიციო სხვადასხვა ალტერნატივების მიმართ, (3) ახდენს პოლიტიკის და ეროვნული მთავრობებისათვის, დამხმარე სააგენტოებისათვის, მრავალმხრივებისათვის და განვითარების მიზნებისათვის დიასპორასთან ჩართულობის მაძიებელ არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, საუკეთესო მარკეტინგული პრაქტიკის იდენტიფიცირებას, (4) ქმნის და ავრცელებს პუბლიკაციებს დიასპორის ჩართულობის თაობაზე კარგი პრაქტიკის და დიასპორის საინვესტიციო გავლენის შესახებ, და (5) ატარებს ტრეინინგებსა და კურსებს ფაკულტეტისა და სტუდენტებისათვის.

დიასპორები 21-ე საუკუნეში

ტერმინი დიასპორა, რომელიც გამოგონილ იქნა მესამე საუკუნეში, წარმოქმნილია ბერძნული სიტყვიდან διασπορά,, რაც ნიშნავს "სათესის გაბნევას". ტრადიციულად, ტერმინი გამოიყენებოდა ებრაელთა დისპერსიის მიმართ. თუმცა, ადრეული 1990 წლებიდან, ბევრმა ინგლისურენოვანმა ლექსიკონმა გააფართოვა ტერმინის განსაზღვრება, რომელიც მოიცავდა "ადამიანთა გაერთიანებას, რომლებიც ცხოვრობენ მათი ტრადიციული სამშობლოს გარეთ". აკადემიკოსები, რომლებიც სწავლობენ დიასპორის იდენტურობის, საქმიანობისა და გავლენის დისციპლინებს, კამათობდნენ, თუ კონკრეტულად რა არის დიასპორა და რა არა, მაგრამ ამ განსაზღვრებათა უმეტესობა მოიცავს სამ ელემენტს: (1) ადამიანთა ჯგუფის დისპერსიას მათი თავდაპირველი ადგილსამყოფელიდან, (2) ორიენტაციას სამშობლოს მიმართ; და (3) განსაზღვრულ შენარჩუნების ღონისძიებებს, სადაც პირები, რომლებიც არიან ჯგუფში განსაზღვრავენ და ამტკიცებენ ვინ არის ჯგუფში და ვინ არა.2

უფრო ფართო განსაზღვრება ასახავს გლობალური მიგრაციის ცვალებად სიდიდესა და ბუნებას. 1975 წლის შემდგომ, მსოფლიო მიგრაცია გაორმაგებულზე მეტი გახდა. დღეს, დაახლოებით, მსოფლიოს მოსახლეობის სამი პროცენტი (150 მილიონი ადამიანი) მიგრანტია, რომელთა უმეტესობაც ემიგრირებულია განვითარებადი ქვეყნიდან განვითარებულ ქვეყანაში. დღეს, განვითარებულ ქვეყანაში მცხოვრები ათი პირიდან ერთი მიგრანტია.

ბევრი დიასპორის წარმომადგენელი აგზავნის ფულს უკან სახლში, მეგობრებისა ან ოჯახისათვის. ერთად აღებული, ფულადი გზავნილები შეადგენს საზღვრის მკვეთი კაპიტალის მნიშვნელოვან დინებას: შეფასების მიხედვით, 2015 წელს მთლიანი ფულადი გზავნილების ოდენობა 608 მილიარდ ამერიკულ დოლარს შეადგენს. დიასპორის ფულადი გზავნილები წარმოადგენს ბევრი განვითარებადი ქვეყნის კაპიტალის შედინების მთავარ წყაროს. 2015 წელს მოსალოდნელია განვითარებად ქვეყნებში 454 მილიარდი ამერიკული დოლარის ოდენობის ფულადი გზავნილების შედინება, რაც სამჯერ მეტია ვიდრე ის განვითარების დახმარება, რომლის გაგზავნაც მოსალოდნელია ამ ქვეყნებში ყველა არსებული რესურსებიდან. ინდოეთი, ჩინეთი, ფილიპინები, მექსიკა და ნიგერია მსოფლიოს ყველაზე დიდი ფულადი გზავნილების მიმღები ქვეყნებია. ზოგიერთ ქვეყნებში, როგორებიცაა ტაჯიკეთი, ყირგიზეთი და ნეპალი გზავნილები შეადგენენ მთლიანი ეკონომიკის მნიშვნელოვან ნაწილს (მშპ-ს 42, 32 და 29 - ჩამონათვალის შესაბამისად).

თუმცა, ბევრი დიასპორა ეძებს გზებს, რათა გარდა ფულადი გზავნილებისა, იქნეს უფრო ეკონომიკურად ინვესტირებული მათი წარმოშობის ქვეყნების ეკონომიკებში. ბალ ჯოში წარმოადგენს საუკეთესო მაგალითს. ბატონმა ჯოშმა, რომელიც დაიბადა ნეპალში, განათლება მიიღო და ამჟამად ცხოვრობს შეერთებულ შტატებში, შექმნა ვებ პორტალი Thamel.com, (http://www.thamel.com), რომელიც საშუალებას აძლევს ნეპალის დიასპორას შეიძინონ პროდუქცია და მიიღონ მომსახურება ონ ლაინ, ნეპალელი მიმწოდებლებისაგან და გაუგზავნონ მათ ნეპალში

მცხოვრებ მეგობრებსა და ოჯახებს სახლებში. ბატონი ჯოშის ინვესტიციამ მრავალი სარგებელი მოუტანა მის სამშობლოს. Thamel.com-მა შექმნა 400 ახალი სამუშაო ადგილი, გააუმჯობესა ადგილობრივი მიმწოდებლების ოპერატიული ეფექტურობა და ხარისხის კონტროლი და გააფართოვა იმ პროდუქციისა და მომსახურების მრავალფეროვნება, რომელსაც მისი მიმწოდებლები აწვდიან მომხმარებლებს. წლიური გაყიდვების მხრივ, Thamel.com-მის მომწოდებელი გამოიმუშავებს 30 პროცენტით მეტს, ვიდრე ადგილობრივი მიმწოდებლების უმეტესობა. დღესასწაულების დროს Thamel.com-მის მიმწოდებლები გამოიმუშავებენ საშუალოდ 50 პროცენტით მეტს, ვიდრე მათი კონკურენტები.

დიასპორის ინვესტიციებში ყოველთვის არ არის ინტერნეტის ჩართულობა. ზოგიერთი დიასპორის წარმომადგენლები აყალიბებენ მომსახურების ისეთ ოპერაციებს, როგორებიცაა რესტორნები, საცალო გაყიდვის ქსელები, საკონსულტაციო კომპანიები ან ტურიზმზე ორიენტირებული საწარმოები. სხვები ქმნიან საწარმოო დაწესებულებებს მათ სამშობლოში, აწარმოებენ პროდუქციას ადგილობრივი გაყიდვისა და/ან ექსპორტისათვის, ან აყალიბებენ ბიზნესის სუბსიდიარებს, რომლებიც დაფუძნებულია სხვა ქვეყნებში. ზოგიერთ შემთხვევებში, ეს ინვესტიციები ხორციელდება „დიასპორის საგარეო პირდაპირი ინვესტიციებით“, ან დიასპორის წარმომადგენლების მიერ, რომლებიც უკვე ფლობენ ან მართავენ ბიზნესს, რომელიც დაფუძნებულია მათი წარმოშობის ქვეყნის გარეთ. მაგრამ ბევრ სხვა შემთხვევებში, მომსახურება ან წარმოების ოპერირება, რომელიც დაფუძნებულია დიასპორის მიერ, წარმოადგენს ახალ წამოწყებას ან წარმოადგენს „დიასპორის წარმოების“ მაგალითს.

დიასპორის ინვესტიციის განვითარების გავლენა ხშირად განიხილება მზარდი გიგანტების, ჩინეთისა და ინდოეთის მიმართ. როგორც Foreign Policy-ის სტატიაში აღინიშნა "დიასპორის დახმარებით, ჩინეთმა მოიგო შეჯიბრება მსოფლიოს ქარხნის ტიტულზე. დიასპორის დახმარებით, ინდოეთი შესაძლებელია გახდეს მსოფლიოს ტექნოლოგიური ლაბორატორია". მაგრამ დიასპორის ინვესტიციისა და წარმოების გავლენა ჩინეთისა და ინდოეთის მზარდი ბაზრების მიღმაც ვრცელდება. დიასპორის ინვესტიცია და წარმოება არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იმ ერებისათვის, რომლებიც შესაძლებელია უფრო ნაკლებად მიმზიდველები ჩანდნენ არა დიასპორის წარმომადგენელი ინვესტორებისათვის, პატარა ადგილობრივი ბაზრის ზომის, არაადექვატური ინფრასტრუქტურის, ან ნაკლებად მიმზიდველი სტრუქტურული მახასიათებლების გამო. დიასპორის ინვესტიცია ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბევრი პოსტ კონფლიქტური ქვეყნების რეკონსტრუქციაში. დიასპორის მიერ სამშობლოში ინვესტირების პოზიტიური ეკონომიკური გავლენა არის ავღანეთში, ლიბერიაში, სიერა ლეონეში და სხვა პოსტ–კონფლიქტურ გარემოში, რომლებიც აღიარებულია გაერთიანებული ერების მიერ.

განვითარებადი ქვეყნების მთავრობებმაც კი, რომლებსაც მთლიანობაში აკლიათ პირდაპირი საგარეო ინვესტიცია (FDI), დაიწყეს კრეატიული გზების მოძებნა დიასპორის ინვესტიციების

წახალისებისათვის. ეკონომიკური განვითარების ბერკეტის სკეპტიკოსები ხშირად აჟღერებენ თავის წუხილს, რომ FDI არ არის ყოველთვის ეფექტურად ინვესტირებული. ისინი აპელირებენ, რომ FDI ანაცვლებს ადგილობრივ ინვესტიციას, ანაცვლებს ადგილობრივ ფირმებს წარმოების, მომსახურების და საფინანსო ბაზრებზე, იწვევს ადგილობრივი კონკურენციის შემცირებას, დაბალი ხარისხის პროდუქციის წარმოებასა და გაზრდილ ფასებს ადგილობრივ ბაზრებზე.

ბევრ მთავრობებს სჯერათ, რომ დიასპორის ინვესტიციას აქვს უფრო მეტი შანსი სარგებლის მომტანი ბიზნესოპერაციების ნაყოფიერებისათვის, ვიდრე არა დიასპორის FDI-ის. რატომ? იმიტომ, რომ დიასპორის ინვესტიცია და წარმოება ხშირად არ არის დაფუძნებული მხოლოდ მოგების მაქსიმალიზაციის მიზნით; სოციალური და ემოციური მოტივაცია ასევე თამაშობს როლს. ზოგიერთების მიზანია პოტენციური ემოციური კმაყოფილება, რომელსაც ისინი იღებენ „სამშობლოს დახმარებით“ ან გრძნობენ, რომ ეს მათი მოვალეობა ან ვალდებულებაა, – კონტრიბუცია გაუწიონ მათი წარმოშობის ქვეყნის ეკონომიკას. სოციალური აღიარება, რომელსაც იღებს დიასპორის წარმომადგენელი წარმოშობის ქვეყანაში ინვესტირებით, შესაძლებელია ასევე იყოს მოტივაციის მთავარი ფაქტორი. არაფულადმა საინვესტიციო მოტივაციამ შესაძლებელია სტიმულირება გაუწიოს დიასპორის წარმომადგენლებს, – მიიღონ საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებმაც შესაძლებელია მოიტანონ ან არ მოიტანონ დაუყოვნებელი მოგება, მაგრამ სამაგიეროდ შესაძლებელია შეიტანონ წვლილი ქვეყნის გრძელვადიანი ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინვესტიციაში. მაგალითად, დიასპორის წარმომადგენლების ემოციურმა და სოციალურმა წუხილმა, შესაძლებელია აიძულოს ისინი, რომ უფრო შეინარჩუნონ თავისი კაპიტალი ინვესტიციის დანიშნულების ქვეყანაში, ვიდრე განახორციელონ მოგების რეპატრიაცია. ისინი უფრო მეტად განახორციელებენ რეინვესტირებას მათ მიერ დაფუძნებულ ოპერაციებში ან გამოიყენებენ მოგებას წარმოშობის ქვეყნის ეკონომიკაში ახალი დამატებითი საწარმოების დაფუძნებისათვის. დიასპორის ინვესტიცია ასევე შესაძლებელია უფრო ნაკლებად დაზარალდეს კრიზისით გამოწვეული კაპიტალის გადინების შემთხვევაში.

დიასპორის წარმომადგენელების საინვესტიციო ინტერესების ემოციურმა და სოციალურმა ფაქტორებმა, შესაძლებელია გამოიწვიოს დიასპორის ინვესტორთა და მეწარმეთა ინსპირირება, რომ მათ იმოქმედონ როგორც ეკონომიკური ცვლის აგენტებმა და მათი წარმოშობის ქვეყნის ეკონომიკის გასაძლიერებლად ბერკეტად გამოიყენონ მათი ინვესტიცია და ახალი საწარმოების შექმნა. წარმოშობის ქვეყანაში დიასპორის ეკონომიკური აქტივობის მთავარი მიზანი შესაძლებელია იყოს სამუშაო ადგილების შექმნა - მათი ოჯახების, მეგობრების, ადგილობრივი საზოგადოების ან ზოგადად, ერისათვის. ასე, რომ დიასპორის ინვესტორებმა და მეწარმეებმა შესაძლებელია უფრო მეტად დააფუძნონ ახალი ოპერაციები ვიდრე განახორციელონ წარმოშობის ქვეყნის ეკონომიკაში არსებულ ფირმებთან შერწყმა ან მათი შესყიდვა. შესაძლებელია მათ ერჩივნოთ იმპორტირებულ პროდუქტსა და შრომის მიმართ ადგილობრივი რესურსების და თანამშრომლების

გამოყენება და სავარაუდოდ ისინი უფრო გააძლიერებენ და კულტივირებას გაუკეთებენ ადგილობრივ მიმწოდებელთა ქსელებს.

დიასპორის ინვესტორთა და მეწარმეთა არსებობამ წარმომშობი ქვეყნის ეკონომიკაში, შესაძლებელია ასევე მოახდინოს კონტრიბუცია წარმომშობი ქვეყნის ადგილობრივი ფირმების ინტერნაციონალიზაციის საქმეში, ადგილობრივი ფირმების ტრანსნაციონალური სოციალური კაპიტალის გაზრდის გზით. დიასპორის ინვესტორები და მეწარმეები ხშირად უზიარებენ მათი წარმომშობი ქვეყნების მეწარმეებსა და ფირმებს ისეთ საბაზრო ინფორმაციას მათი განსახლების ქვეყნის თაობაზე, როგორიცაა იმპორტისა და ოპერატიული რეგულაციების, სამომხმარებლო მოთხოვნის, კონკურენციის თაობაზე ინფორმაცია. ადგილობრივ ფირმებს შეუძლიათ გამოიყენონ ის კომუნიკაციები რაც მათ გააჩნიათ დიასპორის ინვესტორებთან და მეწარმეებთან, რათა ჩაერთონ დიასპორის ინვესტორების/მეწარმეების ტრანსნაციონალურ ქსელებში, პოტენციური კლიენტების, შესაძლებლობების და საზღვარგარეთის ბაზრებზე დაფინანსების იდენტიფიცირების მიზნით. დიასპორის ინვესტორებმა და მეწარმეებმა შესაძლებელია საერთაშორისო ბაზარზე იმოქმედონ, როგორც რეპუტაციის მქონე შუამავლებმა ადგილობრივი ფირმებისათვის.

მიგრანტები, რომლებიც დაკავებული არიან საზღვარგარეთ წარმოებით, ხშირად იძენენ ისეთ ცოდნას და უნარ-ჩვევებს, რომლის ნაკლებობასაც განიცდის მათი წარმომშობი ქვეყანა. როდესაც ისინი ბრუნდებიან ინვესტიციის ან ახალი ბიზნესის განსახორციელებლად, ისინი აბრუნებენ ამ მიღებულ ადამიანურ კაპიტალს მათი წარმოშობის ქვეყანაში, შესაბამისად „ტვინის გადინება“ გარდაიქმნება „ტვინის შემოდინებად“. დიასპორის ინვესტორები და მეწარმეები, ასევე წარმოადგენენ ტრანსნაციონალური ცოდნის ბმულებს, ხელს უწყობენ წარმოშობის ქვეყნის პირებისაგან განსახლების ქვეყანაში ტექნოლოგიისა და პროდუქციის ნოუ ჰაუს დიფუზიას.

დიასპორის წარმომადგენლები შესაძლებელია დაინტერესებული იქნენ თავის სამშობლოში ინვესტირებით, თუმცა შესაძლებელია ჰქონდეთ დაბრკოლებები ან ვერ განახორციელონ აღნიშნული დროის, ფინანსური რესურსების, ნოუ ჰაუს ნაკლებობის ან სხვა შემზღუდავი ფაქტორების გამო. ხელმისაწვდომი ხდება ახალი საინვესტიციო მექანიზმები, რომლებიც მისცემენ დიასპორას შესაძლებლობას, სწრაფად, იოლად, კაპიტალის მცირე ოდენობით (პორტფოლიო ინვესტიცია), მათი განსახლების ქვეყნიდან გაუსვლელად მოახდინონ წარმომშობ ქვეყნებში ინვესტირება. მაგალითად, დიასპორას შეუძლია განახორციელოს მცირე თანხების ინვესტიცია მათ სამშობლოში, ონლაინ პლატფორმების მეშვეობით, დიასპორაზე გათვლილ შემოწმებულ ისეთ პროექტებში, როგორიცაა Homestrings (www.homestrings.com). მათ შეუძლიათ ფული ასესხონ ფირმებს მათ სამშობლოში, საბაზრო საპროცენტო განაკვეთზე ნაკლებად, ისეთი ორგანიზაციების მეშვეობით როგორებიცაა Kiva (http://www.kiva.org) და ინვესტორები საზღვრებს გარეშე (Investors without Borders) (http://investorswithoutborders.wordpress.com/). ზოგიერთ დიასპორულ ორგანიზაციებს დაფუძნებული აქვთ სამეწარმეო

კაპიტალის ფონდები, რომლითაც შესაძლებელია წარმომშობ ქვეყანაში არსებული ბიზნესების აქციების შეძენა.

ზოგიერთი ქვეყნების მთავრობები, როგორებიცაა ეთიოპია, ისრაელი და ინდოეთი, ორიენტირებულნი არიან საზღვარგარეთ მათ დიასპორაში ობლიგაციების განთავსების შეთავაზებაზე. ზოგიერთ შემთხვევებში, დიასპორის წარმომადგენლები ინვესტირებას ახდენენ მათი წარმომშობი ქვეყნის საფონდო ბირჟაზე კოტირებულ კომპანიებში ან იძენენ საპაიო საინვესტიციო ფონდებს, რომელიც შიცავს კომპანიებს მათი სამშობლოდან. ცოტა ხნის წინ, პრეზიდენტმა ობამამ განაცხადა შეერთებული შტატების ინდური დიასპორის ინიციატივის თაობაზე, რომელიც შესაძლებლობას აძლევს ინდოელებს, რომლებიც წარმოადგენენ დიასპორას, მოახდინონ ინვესტირება ფიქსირებული შემოსავლის მქონე უსაფრთხო ფასიან ქაღალდებში, რაც წარმოქმნის სახსრებს, რომლებიც სესხად მიეცემა ინდოეთში სოციალური გავლენის მქონე სექტორში, პატარა და საშუალო ზომის საწარმოებს. (http://www.calvertfoundation.org/blog/530-indian-diaspora-initiative).

ჯორჯ ვაშინგტონის დიასპორის კაპიტალის საინვესტიციო პროექტი

არსებული კვლევა დიასპორის ინვესტირებისა და მეწარმეობის თაობაზე მწირია და თანამედროვე კვლევის უმეტესობა თეორიულ ან მტკიცებულებების გარეშე საფუძველზეა დაფუძნებული. შესაბამისად, მთავრობების, დახმარების სააგენტოების, მრავალმხრივი განვითარების სააგენტოების და არასამთავრობო ორგანიზაციების პოლიტიკა და მარკეტინგული მცდელობები შემუშავებულია და სრულდება იმედსა და ჰიპოთეზაზე დაფუძნებით, ნაყოფიერი და საიმედო სამეცნიერო მონაცემებით სარგებლობის გარეშე. ჯორჯ ვაშინგტონის დიასპორის კაპიტალის საინვესტიციო პროექტის (GW-DCIP) მიზანია ამ საინფორმაციო ვაკუუმის შევსება.

GW-DCIP, რომელიც ჩამოყალიბდა 2006 წელს, წარმოადგენს ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის სხვადასხვა აკადემიური დისციპლინების, მათ შორის ეკონომიკის, საერთაშორისო ურთიერთობების, საერთაშორისო ბიზნესის, მენეჯმენტისა და სახელმწიფო მართვის სტუდენტების კოლაბორაციას. მას აქვს საქმიანობის სამი ძირითადი კერა: კვლევა, სწავლება და განვითარებაში დიასპორის როლთან დაკავშირებული საკითხების დაფარვა. GW-DCIP წარმოადგენს ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსტიტეტის დიასპორის პროგრამის ნაწილს - რომელიც წარმოადგენს უნივერსიტეტის უფრო ფართო კვლევის ინიციატივას, დიასპორებს შორის ურთიერთობების, განვითარებისა და პოლიტიკის შესწავლის თაობაზე.

GW-DCIP აგროვებს და აანალიზებს ინფორმაციას დიასპორის განვითარებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებზე და სხვადასხვა აქტიორების მიერ გადადგმულ ნაბიჯებზე (მაგ. მრავალმხრივები, მთავრობები, მოგებაზე ორიენტირებული ფირმები და არასამთავრობო ორგანიზაციები), განვითარების მიზნებისათვის დიასპორების ჩართვის მიზნით. აღნიშნული კვლევა ტიპიურად მოიცავს (1) არსებული დიასპორის აღწერას, მისი დემოგრაფიული და ორგანიზაციული მახასიათებლებით;

(2) კვალიფიციური კვლევების ჩატარებას, „მსმენელთა ტურს“, რომელიც შედგება დიასპორის ლიდერებთან არსობრივი ინტერვიუებისაგან და ფოკუსირებას ახდენს ჯგუფურ დისკუსიებზე იმ პირებთან, რომლებიც წარმოადგენენ ამ კონკრეტული დიასპორის მრავალფეროვნებას; და (3) კვალიფიციური კვლევის ჩატარებას, დიასპორაში გავრცელებული კითხვარის მართვასა და გაანალიზებას.

GW-DCIP დიასპორის ჩართულობის პროგრამების შემუშავებისა და წახალისების მიზნით, თანამშრომლობს და რჩევებს აძლევს სხვადასხვა ინსტიტუციებსა და ორგანიზაციებს, როგორებიცაა შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო, ვესტერნ იუნიონი და მსოფლიო ბანკი. ფაკულტეტი, რომელიც ასოცირდება GW-DCIP-სთან ხშირად არის მიწვეული სასაუბროდ, სადისკუსიოდ მსოფლიოში იმ სხვადასხვა კონფერენციებზე, სემინარებზე და ფორუმებზე წვლილის შეტანის მიზნით, რომლებიც ფოკუსირებას ახდენენ განვითარების საკითხში დიასპორის როლზე. GW-DCIP ასევე აქვეყნებს აკადემიურ კვლევებს და სასწავლო მასალებს, რომლებსაც წვლილი შეაქვთ გლობალურ ეკონომიკაში დიასპორის როლზე არსებული ცოდნაში და ფაკულტეტის წამყვან პროგრამებსა და უნივერსიტეტის კურსებს მიგრაციის, იდენტურობის და საერთაშორისო ბიზნესის თაობაზე.

დასკვნა

"ვერცერთი ქვის ქვეშ, რომელსაც ისინი შეეხენ და გადააბრუნეს,
ვერ იპოვეს მათ ოქრო ჯერ,
ყველა ქვა, რომელსაც ისინი შეეხენ
 გადააქციეს წმინდა ოქროდ"
ვიშვამიტრა განგა ააშუტოში (Vishwamitra Ganga Aashutosh)

2007 წელს ქ. ნიუ იორკში პრავასი ბჰარატი დივას დროს (არარეზიდენტ ინდოელთა დღე) ბ-ნმა ვაიალარ რავიმ, ინდოეთის საზღვარგარეთ მცხოვრებ ინდოელთა საქმეთა მინისტრმა, ამ ფრაზის ციტირებით, მკაფიოდ გამოხატა ის იმედები, რომლებიც ბევრს გააჩნია მათი წარმოშობის ქვეყნების დიასპორის პოტენციალის განვითარებასთან დაკავშირებით. GW-DCIP იმედოვნებს, რომ შეძლებს უზრუნველყოს იმ ცნობების მიწოდება, რომელიც უკეთეს ინფორმაციას მიაწვდის მათ, დიასპორის შიგნით თუ გარეთ მყოფებს, განვითარებაში მათი როლის წახალისებისა და ხელშეწყობის გზების შესახებ.

თავი 5: საქართველოში დიასპორის რესურსების მობილიზება განვითარებისათვის

შესავალი

i. მსოფლიო ბანკმა წინამდებარე დოკუმენტი მოამზადა დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მოთხოვნის საფუძველზე. დოკუმენტი მიმოიხილავს ქართული დიასპორისთვის დაფინანსების სხვადასხვა შესაძლებლობებს და პოტენციურ საინვესტიციო პროდუქტებს მათ შორის, დიასპორის ობლიგაციებს. აღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს მსოფლიო ბანკის მიგრაციისა და ფულადი გზავნილების (რემიტანსების) განყოფილების (DECPG) ნაწილს.

ii. დიასპორებს შეუძლიათ გაზარდონ ინვესტიციების შემოდინება გამგზავნ და მიმღებ ქვეყნებს შორის, რადგანაც ისინი ფლობენ მნიშვნელოვან ინფორმაციას, რაც დაეხმარება საინვესტიციო შესაძლებლობების იდენტიფიცირებასა და მარეგულირებელი მოთხოვნების შესრულების ხელშეწყობაში. დიასპორებს შეუძლიათ გამოიყენონ თავიანთი ქვეყნის შესახებ მათ ხელთ არსებული ინფორმაცია პირდაპირი ინვესტიციების განსახორციელებლად.

iii. დიასპორები ხშირად ირჩევენ თავიანთი დანაზოგების ინვესტირებას ფინანსურ პროდუქტებში (მაგალითად, ობლიგაციები), რათა ხელი შეუწყონ თავიანთი წარმომავლობის ქვეყნის განვითარებას, რადგანაც ამგვარი ინვესტიციები უსაფრთხოა (მაგალითად, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ უზრუნველყოფილი გარანტიების მეშვეობით), მოაქვს შემოსავალი ბაზრის შესაბამისად, შესაძლებელია შეძენილ იქნეს საზღვარგარეთ ან თავიანთ ქვეყანაში და გამოიყენება პროექტებში საერთაშორისო ზედამხედველობის ქვეშ, რის შესახებაც მათი ინფორმირება ძალიან ადვილად ხორციელდება (მაგალითად, სპეციალური პროექტი ან ინფრასტრუქტურული ინვესტიცია ტელე-კომუნიკაციების ან ენერგო სექტორში).

iv. წინამდებარე დოკუმენტი განიხილავს შესაძლო ფინანსური ინსტრუმენტების განვითარებისა და მათი ქართული დიასპორისთვის შეთავაზების ოთხ სხვადასხვა შესაძლებლობას: (a)შემნახველი ანაბრები უცხოურ ვალუტაში; (b) დიასპორული ობლიგაციები; (c) საინვესტიციო ფონდები და (d) ფულადი გზავნილებით გამყარებული ობლიგაციები.

დიასპორის პროფილი

1. სხვადასხვა წყაროები განსხვავებულად აფასებენ საქართველოდან მიგრანტების რაოდენობას, თუმცა არსებობს თანხმობა იმასთან დაკავშირებით, რომ ქართული დიასპორა კონცენტრირებულია რუსეთში, უკრაინაში, საბერძნეთში, სომხეთში, უზბეკეთში, კვიპროსში, გერმანიაში, აშშ-ში, ესპანეთში და თურქეთში (ილუსტრაცია 15).

2. 2015 მიგრაციის ფაქტების წიგნისა და გაერო-ს სტატისტიკის შესაბამისად, 2014 წლის მონაცემებით, 746,000 ქართველი მიგრანტი ცხოვრობს საზღვარგარეთ (პირველი, მეორე და მესამე თაობის ჩათვლით, დაახლოებით 2.1 მილიონი).

3. 3. გერმანია, საბერძნეთი და თურქეთი წარმოადგენენ ისტორიული ქართული დიასპორის, ბოლო ხანებში კი შრომითი მიგრანტების ადგილსამყოფელს. სავარაუდოდ, დაახლოებით 2.5 მილიონი ეთნიკური ქართველი თურქეთში ცხოვრობს.1გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) თანახმად, ქართულმა დიასპორამ



ილუსტრაცია 15: ქართველი მიგრანტების ძირითადი დანიშნულების ადგილები. წყარო: მიგრაციის ფაქტების წიგნი, 2015.

თურქეთსა და რუსეთში ხელი შეუწყო საქართველოში ინვესტირებას. ამის მაგალითად შესაძლოა მოვიყვანოთ: თურქული ინვესტიცია საქართველოს აეროპორტებში, თურქული და რუსული ინვესტიცია ენერგო სექტორსა და სამშენებლო მასალებში.

4. ყველაზე ორგანიზებული ქართული დიასპორებია რუსეთში, თურქეთში, საბერძნეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. აღნიშნულ ქვეყნებში დიასპორული ორგანიზაციები ყველაზე დიდი რაოდენობით გვხვდება.

5. თითქმის უდაოდ, ოფიციალური მონაცემები არ ასახავს მიგრანტებს დოკუმენტების გარეშე და სათანადოდ არ აფასებს ქართველი მიგრანტების რეალურ რაოდენობას.

6. საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველი მიგრანტები კვალიფიციურობით გამოირჩევიან - დაახლოებით მათი ნახევარი ფლობს უნივერსიტეტის დიპლომს. ქართული დიასპორა ამერიკის შეერთებულ შტატებში წარმოადგენს მნიშნელოვან პროფესიულ საზოგადოებას. ქართველი მიგრანტების ნაწილი მუშაობს აკადემიურ სექტორში, სწავლობს ან მუშაობს, როგორც ოპერი (au pair) გერმანიაში, მაშინ, როდესაც საბერძნეთსა და თურქეთში მიგრანტები მუშაობენ შინა

მოსამსახურეებად, ძიძებად ან მომვლელებად.

7. ქართული დიასპორა დაახლოებით 2 მილიარდ აშშ დოლარს აგზავნის ყოველწლიურად რემიტანსების სახით (ცხრილი 1). აღნიშნული თანხიდან, უდიდესი ნაწილი (40%) იგზავნება რუსეთიდან. რემიტანსები წარმოადგენს მთლიანი შიდა პროდუქტის (GDP) 12%-ს, რეზერვების 69%-სა და იმპორტის 33%-ს.

8. საქართველოში ფულადი გზავნილები საგრძნობლად შემცირდა რუსეთის კრიზისის გამო. ბოლო დროის სტატისტიკის თანახმად, 2015 წლის პირველი ორი თვის განმავლობაში, საქართველოში

ფულადი გზავნილები მლნ. აშშ დოლარი	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014e
შემოსული რემიტანსები*	1,065	1,112	1,184	1,547	1,770	1,945	2,065
მათგან							
თანამშრომელთა ანაზღაურ.	419	392	381	510	650	714	-
პირადი გადარიცხვები	646	720	803	1,037	1,120	1,231	-
გასული რემიტანსები	51	34	55	77	87	88	-
მათგან							
თანამშრომელთა ანაზღაურ.	44	30	49	70	83	83	-
პირადი გადარიცხვები	7	4	6	7	4	4	-

ილუსტრაცია 16: საქართველოში შემოდინებული და გადინებული რემიტანსების რაოდენობა

* 2012 წლის მონაცემებით, წმინდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) სახით მოხდა 0.83 მილიარდი აშშ დოლარის შემოდინება; წმინდა განვითარების ოფიციალური დახმარების (ODA) სახით მიღებულია 0,66 მილიარდი აშშ დოლარი.

საზღვარგარეთიდან ფულადი გზავნილების შემოდინებამ 157,437,000 აშშ დოლარს მიაღწია, რაც წინა წლის მონაცემებით 230,089,300 აშშ დოლარი გახლდათ. უკრაინიდან ფულადი გზავნილების შემოდინება ყველაზე მეტად შემცირდა (89%). მას მოსდევს რუსეთი - 80% და საბერძნეთი 20%.

შემოთავაზებები:

9. დადგენილი მონაცემების თანახმად (რომლის საფუძველზეც განხორციელდა იმაზე ნაკლები მიგრანტის დათვლა, ვიდრე რეალურად არსებობს), სავარაუდოდ, ქართველი მიგრანტები ზოგავენ დაახლოებით 1.2 მილიარდ დოლარს წელიწადში. აღნიშნული დანაზოგის დიდი ნაწილი

საზღვარგარეთ ინახება ნაღდი ფულის სახით ან შემნახველ ანაბრებზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით.

10. დიასპორის წევრებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ კაპიტალის ბაზრების განვითარებას თავიანთი წარმომავლობის ქვეყნებში ინვესტორთა ბაზის დივერსიფიკაციის, ახალი ფინანსური პროდუქტების შემოღებისა და სანდო დაფინანსების წყაროების უზრუნველყოფის მეშვეობით. დიასპორის წევრებს შეუძლიათ გაზარდონ ინვესტიციების შემოდინება გამგზავნ და მიმღებ ქვეყნებს შორის, რადგანაც ისინი ფლობენ მნიშვნელოვან ინფორმაციას, რაც დაეხმარება საინვესტიციო შესაძლებლობების იდენტიფიცირებასა და არსებული რეგულაციების შესრულების ხელშეწყობაში. ასევე, დიასპორის წევრებმა შესაძლოა სხვა ინვესტორებზე მეტი რისკი გაწიონ თავიანთი წარმომავლობის ქვეყანაში, რადგანაც მათ უკეთ შეუძლიათ საინვესტიციო შესაძლებლობების შეფასება და ფლობენ აღნიშნული პროცესის ხელშეწყობისათვის საჭირო კონტაქტებს.

11. დიდი დიასპორის მქონე ბევრი ქვეყანა დგას ისეთი პრობლემების წინაშე, რომელთა გადაწყვეტის გარეშე დიასპორის კონტრიბუციებისა და ინვესტიციების მოზიდვა რთულია. კერძოდ, სწორი მაკრო-ეკონომიკური პოლიტიკა და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ვალების რაციონალური მართვა დაეხმარება ეკონომიკის შემდგომ განვითარებას და, შესაბამისად, დიასპორის ობლიგაციების მიმზიდველობას შეუწყობს ხელს. ბოლო ათწლეულის განმავლობაში, საქართველომ განახორციელა რამდენიმე რეფორმა, რომლის მეშვეობითაც ქვეყანაში გაუმჯობესდა ბიზნეს გარემო და კანონის უზენაესობა. ამასთან, კონკურენციის ზრდამ, სასამართლო სისტემის გაუმჯობესებამ და დავების მოგვარების მექანიზმის ჩამოყალიბებამ შესაძლოა შემდგომში გააძლიეროს საქართველოს პროფილი ინვესტორებისთვის. დიასპორის ნდობის მოსაპოვებლად აუცილებელია კანონის უზენაესობის გაძლიერება. მარკეტინგის სტრატეგია, რომელიც პასუხობს აღნიშნული საკითხებისა და დიასპორის სხვა პრობლემებს, უნდა შემუშავდეს იმგვარად, რომ მოიზიდოს დიასპორული ინვესტიციები.

12. არსებობს საქართველოს მიერ დიასპორის რესურსების მობილიზაციის ოთხი სავარაუდო მექანიზმი მიზნით:

a) შემნახველი ანაბრები უცხოურ ვალუტაში;
b) დიასპორული ობლიგაციები;
c) საინვესტიციო ფონდები;
d) ფულადი გზავნილებით გამყარებული ობლიგაციები.

I. შემნახველი ანაბრები უცხოურ ვალუტაში

13. დიასპორები იყენებენ უცხოურ სავალუტო დეპოზიტს (FCD) თავიანთი წარმომავლობის ქვეყანაში აქტივების ფლობის მიზნით, ამასთან სავალუტო რისკები მინიმალურია. შემნახველი ანაბრები შესაძლოა, შეთავაზებულ იქნეს როგორც მიმდინარე, ისე ვადიანი ანაბრების სახით. ვადიანი ანაბრები მეტად შეზღუდულ პირობებს ადგენს, რადგანაც ანგარიშიდან თანხის ათვისება შეუძლებელია დადგენილ თარიღამდე. ვადიანი ანაბრები, მიმდინარესთან შედარებით, ნაკლებად ცვალებადია.

14. მაგალითად, ნიგერიულმა ბანკებმა განავითარეს თავიანთი დიასპორაზე ორიენტირებული სპეციალური ფინანსური პროდუქტები, რათა შეძლონ მათი დანაზოგებისა და საინვესტიციო პოტენციალის გამოყენება. ზოგიერთი ბანკი ნიგერიის არა-რეზიდენტებს სთავაზობს დიასპორული ანგარიშების გახსნას, როგორიცაა: ნიგერიის დიასპორული ანგარიში (NIDA), არა-რეზიდენტი ნიგერიელი (NRN), ნიგერიელები დიასპორაში (NID) და სხვა. აღნიშნული ანგარიშები საშუალებას აძლევენ უცხოეთში მყოფ ნიგერიელ ინვესტორებს საზღვარგარეთ აკეთონ ბიზნესი ნიგერიაში, თუნდაც ქვეყანაში არყოფნის პირობებშიც კი. ეს ანგარიშები ასევე საშუალებას აძლევს მოქალაქეებს დიასპორაში, განახორციელონ ინვესტირება საფონდო ბირჟებზე სამშობლოში, როდესაც არ იმყოფებიან ქვეყანაში და ზოგიერთ ანგარიშზე მინიმალური დეპოზიტის ოდენობა 500 აშშ დოლარს შეადგენს.

15. ანგარიშის გახსნის პროცედურა მარტივია. დიასპორის წარმომადგენელს ესაჭიროება მხოლოდ თავისი პასპორტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი, ქვეყანაში ლეგალურად ყოფნის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად (ვიზა, მუდმივი ბინადრობის უფლება ან მუშაობის უფლება), გადასახადების ქვითრის ან მართვის მოწმობის ნოტარიულად დამოწმებულიასლი. ზოგიერთ შემთხვევაში, ანგარიშის გახსნის თაობაზე განაცხადის შევსება შესაძლებელია ონლაინ რეჟიმში.

16. ბანგლადეშმა შექმნა მთელი რიგი სქემებისა, რომლებიც გამიზნულია ინვესტორებისა და არა-რეზიდენტებისთვის, როგორიცაა შემნახველი ანაბრები უცხოურ ვალუტაში. პაკისტანმა ახლახან წამოიწყო სქემა, რომელიც ახორციელებს ფულადი გზავნილების მობილიზებას შემნახველ ანგარიშებზე. თურქეთმა, ეთიოპიამ, პერუმ და სხვა ქვეყნებმა, თავიანთი დიასპორის წევრებისთვის შეიმუშავეს უცხოური სავალუტო დეპოზიტის (FCD) ანგარიშების სქემები აშშ დოლარში, ევროში ან ბრიტანულ ფუნტში.

17. საქართველოში, ადგილობრივი ბანკები ასევე მომხმარებელს სთავაზობენ ანაბრებს უცხოურ ვალუტაში მაღალი საპროცენტო განაკვეთითა და გადასახადებისგან გათავისუფლების პრივილეგიით. 2014 წლის ნოემბერიდან ლარის დოლართან მიმართებაში გაუფასურების გამო, დიასპორას შესაძლოა, ერჩივნოს ანაბრები აშშ დოლარში, რათა თავიდან აირიდონ ვალუტის შემდგომი გაუფასურება. ქართული ბანკები ცდილობენ გაზარდონ უცხოური დაფინანსება არა-რეზიდენტთა ანაბრების მოზიდვის გზით. აღნიშნული ინიციატივა შესაძლოა კიდევ უფრო დაიხვეწოს, ანაბრების დაზღვევის სქემის ამოქმედდების შემთხვევაში.

18. მთავრობას შეუძლია ასევე განახორციელოს რესურსების მობილიზაცია დიასპორიდან სოციალური უზრუნველყოფის, უძრავი ქონების ფონდისა და მიკრო-ფინანსურ პროგრამებში მონაწილეობის წახალისების გზით. ფილიპინები, მაგალითად, თავის მოქალაქეებს საშუალებას აძლევს, გაერთიანდნენ სოციალური უსაფრთხოების პროგრამებში ან გააგრძელონ მათი მოხმარება საზღვარგარეთ ყოფნის დროს. ფილიპინელ მუშახელს, ასევე, შეუძლია, გააგრძელოს წვლილის შეტანა სამშობლოს განვითარების ერთიან ფონდში (PAG-IBIG ფონდი). მიგრანტ მუშებს აქვთ აღნიშნულ ფონდზე ხელმისაწვდომობა

საზღვარგარეთ დიპლომატიური ოფისების მეშვეობით. ზოგიერთი ეს ინიციატივა შესაძლოა განხორციელდეს საქართველოში, რათა მოხდეს დანაზოგების მობილიზაცია იქ, სადაც ადგილობრივი დანაზოგების განაკვეთი საკმაოდ დაბალია.

19. არსებობს ქვეყნები, რომელთაც თავიანთი დიასპორა დაარწმუნეს, ადგილობრივ ვალუტაში დენომინირებული ანაბრების ფლობის მიზანშეწონილობაში. ინდოეთი თანამემამულეებს სთავაზობს არჩევანს, შექმნან ანაბრები არა-რეზიდენტი ინდოელებისთვის (NRIs) უცხოურ ვალუტაში ან გახსნან ანგარიშები ინდურ რუპიაში. თუმცა, არსებული დოლარიზაციის ფონზე საქართველოში, აღნიშნული ინიციატივა არ იქნება სახარბიელო მოკლევადიან პერსპექტივაში.

რისკები

20. საქართველოს ფინანსური ბაზრის განვითარების დონის გათვალისწინებით, ანაბრები უცხოურ ვალუტაში ყველაზე მიმზიდველი და მარტივი გზაა დიასპორის ანაბრების მობილიზაციისთვის. თუმცა, აღნიშნული ხელს უწყობს ფინანსურ დოლარიზაციას და ფინანსური სისტემის მოწყვლადობას რადგანაც უცხოური აქტივები და ვალდებულებები მიკრო დონეზე არ არის დაბალანსებული.

21. კიდევ ერთი რისკი გამომდინარეობს დიასპორული ინვესტიციებიდან, რაც კონცენტრირებულია ძირითადად უძრავ ქონებაში ან არა-სავაჭრო საქონელში, რამაც შესაძლოა ხელი შეუწყოს რეალური გაცვლის კურსის გამყარებას და აღმოფხვრას ექსპორტის კონკურენტულობა. მნიშნელოვანია, რომ აღნიშნული ინვესტიციები გადაიქცეს უფრო პროდუქტიულ ინვესტიციებად ექსპორტის სექტორებში. უფრო მეტიც, ანაბრების საპროცენტო განაკვეთის კლებისა და გარე ფაქტორების გამო საქართველოს ეკონომიკური განვითარების შეფერხების კვალდაკვალ, შემცირდა ფულადი გზავნილები და შეინიშნება დიასპორის ანაბრების ზრდის ტემპის შენელება. ეს შესაძლოა, საუკეთესო დრო იყოს ფინანსური უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად და ასევე დიასპორული ინვესტიციებისთვის ალტერნატიული საინვესტიციო მექანიზმებისა და არხების გასავითარებლად.

22. სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტების განხილვისას, რაზეც დიასპორას დაზოგვის მიზნით მიუწვდება ხელი (უცხოურ ვალუტაში შემნახველი ანაბრების ჩათვლით), ანაბრები და ადგილობრივი შემნახველი ანგარიშები ყველაზე ხშირად არის ნახსენები დიასპორის გამოკითხვებში. აღნიშნულ ფინანსურ ინსტრუმენტებს შესაძლოა, ახასიათებდეს, მაგალითად, ფულის ხელმისაწვდომობა და ულიმიტო ანაბრები. თუმცა, გამოკითხვების შედეგად გამოვლინდა დიასპორის მიერ წამოწეული ნეგატიური მხარეები: (i)დაბალი მოგება; (ii)დაზღვეული ანაბრების არარსებობა; (iii) დანაზოგების არასტაბილურობა, რაც ხელს უშლის გრძელვადიან ინვესტიციებს (ვალუტის გაუფასურების ამჟამინდელი ტენდენციის გამო); (iv) სუსტი მონიტორინგისა და ზედამხედველობის მექანიზმები; (v) ბანკების მხრიდან ინფორმაციის მიწოდების საჭიროება; (vi) ადმინისტრირებისა და მართვის მაღალი ხარჯები.

II. დიასპორული ობლიგაციები

23. დიასპორული ინვესტიციების მობილიზება შესაძლებელია დიასპორული ობლიგაციების გაცემის გზით, რაც წარმოადგენს საცალო დანაზოგის ინსტრუმენტს რომელიც გათვლილია დიასპორის წევრებისთვის. განვითარებადი ქვეყნის მთავრობას (ან კარგი რეპუტაციის მქონე კერძო კორპორაციას განვითარებად ქვეყანაში) შეუძლია განახორციელოს შედარებით ღარიბი მიგრანტების ქონების მართვა ამგვარი ობლიგაციების დაბალ ფასად გაყიდვის მეშვეობით (100 აშშ დოლარიდან 1000 აშშ დოლარამდე). ობლიგაციები შესაძლოა ძვირადაც გაიყიდოს უფრო შეძლებულ მიგრანტებზე, დიასპორულ ჯგუფებსა თუ ინსტიტუციურ ინვესტორებზე.

24. დიასპორული ობლიგაციები დიასპორის წევრებს აკავშირებს ერთმანეთთან და ხელს უწყობს მათ სურვილს, უკან დააბრუნონ და პოტენციურად შეუწყონ ხელი თავიანთი წარმოშობის ქვეყანაში განვითარების პროექტების დაფინანსების ხარჯების შემცირებას. გამომდინარე იქიდან, რომ დიასპორა დანაზოგებს ძირითადად ინახავს ნაღდი ფულის სახით "დამალულად" ("under the mattresses") ან დაბალ საპროცენტო განაკვეთიან საბანკო ანგარიშებზე დიასპორის მასპინძელ ქვეყნებში, წლიური 3-5 საპროცენტო განაკვეთის შემოთავაზება დიასპორის ობლიგაციებზე შესაძლოა მიმზიდველი აღმოჩნდეს.

25. დიასპორული ობლიგაციებს რამდენიმე დადებითი მხარე გააჩნია როგორც მისი გამცემის, ისე ემიგრანტისთვის, რომელიც ყიდულობს ობლიგაციებს: (i) მცირედი თანხების საცალოდ მოზიდვის გზით, 100-10,000 აშშ დოლარის ფარგლებში, ობლიგაციების გამცემებმა შესაძლოა მართონ შედარებით ღარიბი მიგრანტების ქონება; (ii) გარკვეულ შემთხვევებში, თავდაჯერებული გამცემი ობლიგაციებს გასცემს ადგილობრივ ვალუტაში, რადგანაც მიგრანტებს შესაძლოა ჰქონდეთ ადგილობრივ ვალუტაში დენომინირებული ვალდებულებები გამცემ ქვეყანაში და შესაბამისად არ დადგეს დევალვაციის რისკი; (iii) მიგრანტები იქნებიან უფრო ლოიალურები, ვიდრე საშუალო ინვესტორები პრობლემური პერიოდის დროს, და ისინი შესაძლოა უფრო დაინტერესებულნი იყვნენ ინფრასტრუქტურული, საცხოვრებელი სახლების, ჯანმრთელობისა და განათლების პროექტების დაფინანსებით და (iv) დიასპორული ობლიგაციები შესთავაზებენ უფრო მაღალ საპროცენტო განაკვეთს, ვიდრე დიასპორა გამოიმუშავებს საბანკო ანაბრებიდან თავიანთი ბინადრობის ქვეყანაში.

26. დიასპორული ობლიგაციების ცნება ახალი არ არის. წარსულში, ინდოეთისა და ისრაელის მთავრობებმა გამოუშვეს დიასპორული ობლიგაციები, რათა ჯამში დაახლოებით 40 მილიარდი აშშ დოლარი გამოემუშავებინათ, ხშირად პოლიტიკური ან ფინანსური კრიზისების დროს. ისრაელი 1951 წლიდან რეგულარულად ყიდდა დიასპორულ ობლიგაციებს, ხოლო ინდოეთი თავის დიასპორას დაფინანსებისთვის მიმართავდა 1990-იანი წლების ფინანსური კრიზისის დროს. ბოლო ორი წლის განმავლობაში, ეთიოპიამ და ნეპალმა გამოუშვეს დიასპორული ობლიგაციები, თუმცა ვერ მიაღწიეს წარმატებას თანხების მობილიზებაში. ორივე მათგანი განიცდიდა მარკეტინგისა და გასაჯაროების ნაკლებობას

და მაღალი რისკის შესაძლებლობას. ეთიოპიამ გამოუშვა მეორე დიასპორული ობლიგაცია ჰიდროელექტრო პროექტის დასაფინანსებლად.

27. საქართველოში ინფრასტრუქტურისა და განვითარების პროექტებზე მოთხოვნისა და დაფინანსებასთან დაკავშირებული დისბალანსის გათვალისწინებით, დიასპორული ობლიგაციები წარმოადგენს ინოვაციურ ფინანსურ მექანიზმს, რომელიც ქვეყანას აძლევს საშუალებას, მოიძიოს დამატებითი თანხები. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში 746,000 ქართველი მიგრანტი ცხოვრობს. დიასპორის რიცხვი იზრდება, თუ ჩავთვლით მეორე და მესამე თაობის მიგრანტებსაც. ქართველმა მიგრანტებმა სამშობლოში 2014 წელს 2,065 მილიარდი აშშ დოლარი გააგზავნეს ფულადი გზავნილების სახით. პირველადი შეფასებით ვლინდება, რომ ქართველი დიასპორის წლიური დანაზოგი დაახლოებით 1,2 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს. საქართველოს აქვს პოტენციალი გასცეს დიასპორული ობლიგაციები.

28. დიასპორული ობლიგაციები პოტენციურად ხელს უწყობს განვითარების პროექტების დაფინანსების ხარჯების შემცირებას საქართველოში. თუმცა, ეს მოითხოვს პროექტების სათანადო ზედამხედველობასა და მათ მართვას, ინვესტიციების უსაფრთხოებასა და თანხების დარჩენილი ნაწილის სარგებლის მომტან პროექტებში ან იმ პროექტებში დაბანდებას, რომელიც აუმჯობესებს ქართველების ცხოვრების პირობებს, დიასპორის საზედამხედველო მექანიზმებში პოტენციურად მონაწილეობისა და გარანტიების პოტენციური აუცილებლობის ჩათვლით (მაგალითად, ეროვნული ბანკის მიერ). მოკლევადიან პერსპექტივაში, დიასპორის დანაზოგების მობილიზაციის მიზნით, შესაძლოა განხორციელდეს დიზაინის, მიზანშეწონილობის, მარკეტინგის, მარეგულირებელი და ფინანსური საკითხების და ინსტრუმენტის (დანაზოგები ან დიასპორის ობლიგაციები) გავრცელების არხების შეფასება.

29. ქართველმა პარტნიორებმა, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ჩათვლით, შესაძლოა ხელი შეუწყონ დიასპორული ობლიგაციების გაცემას მათი კრედიტუნარიანობის ნაწილობრივი გარანტირებისა და გაზრდის გზით. საქართველოში დიასპორული

დიასპორული ობლიგაცია	**დიასპორის საინვესტიციო ფონდი**
• სასესხო ურთიერთობები • გარკვეული პატრიოტული ფასდაკლება • ვადა და თანხის დაფარვა • ნაკლებად სარისკო, ვიდრე აქციები	• კაპიტალის ურთიერთობები • ზოგადი ფასდაკლება • დივიდენდები • უფრო მეტად სარისკო, ვიდრე ობლიგაციები

ილუსტრაცია 17: დიასპორული ობლიგაციების მახასიათებლები და დიასპორის საინვესტიციო ფონდი

ობლიგაციების გაცემა აწყდება იგივე წინაღობას რაც ყველა ინვესტორს გააჩნია: პოლიტიკური რისკები, არასტაბილური სამართლებრივი სისტემები, გლობალური საბანკო ქსელის არარსებობა და შეზღუდული სამართლებრივი ექსპერტიზა. სახელმწიფო ობლიგაციები მეტად მიმზიდველი გახდებოდა დიასპორისთვის, თუ ისინი მიიღებდნენ ნაწილობრივ გარანტიას მაინც მაღალი შეფასების მქონე მსესხებლების მხრიდან. დიასპორის დაფინანსება განმსაზღვრელია ინფრასტრუქტურის დაფინანსებისთვის და საქართველოს შიდა კაპიტალის ბაზრის გაუმჯობესებისთვის.

რისკები

30. მიუხედავად ზემოთქმულისა, არსებობს გარკვეული რისკები დიასპორის წარმომავლობის ქვეყნებისთვის. უცხოური ვალუტის დიდი ოდენობით შემოდინება ობლიგაციების გაცემის შემდგომ და მათი პოტენციური გადინება ობლიგაციების ვადის ამოწურვის შემდეგ, ითხოვს ძალიან ფრთხილ მაკროეკონომიკურ მართვას, განსაკუთრებით გაცვლით კურსთან მიმართებით. ობლიგაციის ადგილობრივ ვალუტაში გაცემის შემთხვევაშიც კი, ქვეყნებმა ყურადღება უნდა მიაქციონ გაცვლითი კურსის მართვას და ვალის პრუდენციულ მართვას. ვალის ნებისმიერ მნიშვნელოვან ზრდას უნდა მოჰყვეს ვალის მდგრადობის ანალიზი.

III. საინვესტიციო ფონდები

31. სხვადასხვა ქვეყნის ან დიასპორული ჯგუფის მიერ დიასპორის ქონების მართვის რამდენიმე ინიციატივა განხორციელდა - წარმატების სხვადასხვა ხარისხით. დიასპორის მიერ გამოყენებულ იქნა ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტი თავიანთ ქვეყნებში ინვესტირების მიზნით, როგორიცაა: საინვესტიციო ფონდები და საერთო ფონდები.

32. რამდენიმე აფრიკულ საინვესტიციო ფონდს შესთავაზეს, მოიზიდონ ინვესტიციები საზღვარგარეთ მცხოვრები მდიდარი აფრიკელი მიგრანტებისაგან. ამგვარმა ფონდებმა შესაძლოა მიიღონ რეგიონული ფონდების, საერთო ფონდებისა და იმ კერძო კაპიტალის სახე, რაც შესაძლოა ინვესტირებულ იქნეს აფრიკულ კომპანიებსა და საპენსიო ფონდებში. ეს საინვესტიციო ფონდები წარმოადგენენ კაპიტალის ინვესტიციებს ზემოთ განხილული დიასპორის ობლიგაციებისგან განსხვავებით. მრავალი ამგვარი საინვესტიციო ფონდი არ გამოდგა წარმატებული. მაგალითად, რუანდის დიასპორის ერთობლივმა ფონდმა (კოლექტიური ინვესტიცია დიასპორის საზოგადოების მიერ) 2009 წელს მიიღო ეროვნული ბანკის თანხმობა, თუმცა მისი იმპლემენტაცია არ მომხდარა. წარმატების ნაკლებობა გამოწვეულია შემდეგი მიზეზებით: უხარისხო დაგეგმვა, მარკეტინგის ნაკლებობა და ვალდებულების მქონე დაინტერესებულ პირთა ნაკლებობა.

33. დიასპორის ინვესტორების დარწმუნება ინვესტირება განახორციელონ დიასპორის ფონდებში, შესაძლოა მოითხოვდეს ინვესტორთა დაცვის გაძლიერებას რათა უზრუნველყოფილ იქნას თანხების სათანადო მართვა.დიასპორის ინვესტორთა ნდობის გაძლიერების ზოგიერთი იგივე მექანიზმი გამოიყენება საინვესტიციო

ფონდების მიმართ: (i)თანხების მართვა სახელმწიფო სააგენტოს მიერ; (ii) თანხების მართვა კერძო კომპანიის მიერ5;და (iii) თანხების მართვა კერძო კომპანიის კომბინაციის მიერ, მაგრამ დიასპორის წევრთა მონაწილეობით.

34. როდესაც მიგრანტი ინვესტორები იძენენ დიასპორის ობლიგაციებს, ისინი შედიან სავალო გარიგებაში ობლიგაციების გამცემთან. სხვა სიტყვებით, ინვესტორები ფულს ასესხებენ მთავრობას ან კაპიტალის მომხმარებელს დიასპორის ობლიგაციების შეძენისას. მეორეს მხრივ, როდესაც მიგრანტები აკეთებენ ინვესტირებას საინვესტიციო ფონდში, ისინი ყიდულობენ საკუთრების ინტერესს (ან კაპიტალს) კომპანიებში ან სხვადასხვა საპორთფელო ფონდებში. საერთო ფონდები წარმოადგენს სხვადასხვა ინვესტორების რესურსების კომბინაციას მთელი რიგი აქტივების შესაძენად (ობლიგაციები, აქციები ან კაპიტალი). დიასპორის კონტრიბუციის საფუძველზე დაფინანსებულ საინვესტიციო ფონდებს უწევთ მათ მართვასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯების გაწევა, რამაც შესაძლოა საკმაოდ დიდ რაოდენობას მიაღწიოს. ასევე, ამ შუამავლებმა შესაძლოა დასწიონ ეროვნული პროექტების პატრიოტულიმ იმზიდველობა (მაგალითად, ინვესტიციები აეროპორტებში, ჰიდრო პროექტები და ა.შ.).

IV. ფულადი გზავნილებით გამყარებული ობლიგაციები

35. ეს არის ფინანსური სტრუქტურები, სადაც გამოიყენება მომავალი ფულადი გზავნილები როგორც უზრუნველყოფა და საშუალებას აძლევს ქვე-მსესხებლებს მიიღონ იაფი და უფრო გრძელვადიანი კრედიტი, შესაბამისად, შეამცირონ სესხების ხარჯი და გაახანგრძლივონ ვალის გადახდის ვადა. მომავალი ფულადი გზავნილების სეკურიტიზაცია ხელს შეუწყობს საერთაშორისო კაპიტალის ბაზარზე დაშვების გაუმჯობესებას. თანხების შემდგომი შემოდინების სეკურიტიზაციის სტრუქტურის მნიშნელოვანი ელემენტია ოფშორული სპეციალური დანიშნულების მექანიზმის (SPV)შექმნა ობლიგაციის გასაცემად და მისი დაცვა სახელმწიფო ჩარევისგან. დოლარის მოცულობა, რომელიც შესაძლოა გაიზარდოს თანხების შემდგომი შემოდინების სეკურიტიზაციის მეშვეობით, შეიძლება ძალიან დიდი იყოს.

36. ბანკებმა ბრაზილიაში, ელ სალვადორში, იამაიკაში, ყაზახეთში, მექსიკასა და თურქეთში მოიძიეს 15 მილიარდი აშშ დოლარი მომავალი ფულადი გზავნილების სეკურიტიზაციისა და გადახდის უფლებების დივერსიფიკაციის (DPR) გზით6. ერთ-ერთი გადარიცხვის დროს, ბანკო დო ბრაზილმა მიიღო 250 მილიონი აშშ დოლარი 2002 წელს ობლიგაციების დაცვით იაპონიიდან რემიტანსების მომავალი შემოდინებით - ობლიგაცია შეფასდა, როგორც BBB+, ბრაზილიის სუვერენულ რეიტინგზე BB- ხუთჯერ მეტად. აღნიშნულ ობლიგაციაზე საპროცენტო განაკვეთი დადგინდა 9%, რაც იმ დროისთვის სუვერენული სესხების ნიხრზე ნაკლები იყო.

37. არსებობს კიდევ რამდენიმე მაგალითი: აფრიკის ექსპორტ-იმპორტ ბანკმა (AFRESIMBANK)ხელი შეუწყო ფულადი გზავნილებით გამყარებულ სესხებს ეთიოპიაში, განასა და ნიგერიაში (კეტკარი და

რატჰა, 2009). აზიის განვითარების ბანკმა უზრუნველყო ნაწილობრივი საკრედიტო გარანტია 125 მილიონი აშშ დოლარის ფულადი გზავნილების სეკურიტიზაციისთვის ყაზახეთში. საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ (IFC), რომელიც წარმოადგენს მსოფლიო ბანკის ჯგუფის ნაწილს, ბოლო დროს ხელი შეუწყო 30 მილიონი აშშ დოლარის ფულადი გზავნილების შემოდინების სეკურიტიზაციას, რომელიც მიღებულ იქნა საკრედიტო კოოპერატივის მიერ (FEDECREDITO)ელ-სალვადორში. ეს თანხები, გამოყენებულ იქნა მცირე და საშუალო ბიზნესისთვის სესხების გასაცემად.

38. ფულადი გზავნილების გარდა, სეკურიტიზებულ იქნა დიდი რაოდენობით მომავალში მისაღები თანხები, ექსპორტისა და ექსტრაქტივების ჩათვლით (ნავთობი, მინერალები და მეტალი); საკრედიტო ტრანზაქციები (თვითმფრინავის ბილეთები, კრედიტ კარტების ვაუჩერები, საერთაშორისო სატელეფონო ზარები); ჰონორარები ნავთობიდან და გაზიდან; და საგადასახადო შემოსავლები. DPR-ების დაცვა, რაც მოიცავს ფულად გზავნილებს დახმარებას, ინვესტიციებს და ვაჭრობასთან დაკავშირებულ გადასახდელებს საერთაშორისო გადახდების სისტემის მეშვეობით, არც თუ ისე ძველი ინოვაციაა.

39. არსებობს ფულადი გზავნილების გადინების დაცვის შეზღუდვები, როგორიცაა საკრედიტო რეიტინგის არარსებობა, შესაბამისი საბანკო ურთიერთობების ნაკლებობა და სამართლებრივი, საინვესტიციო საბანკო და საკონსულტაციო სერვისების შედარებით მაღალი ხარჯები. მსოფლიო ბანკს შეუძლია უზრუნველყოს ტექნიკური დახმარება ფულადი გზავნილებით გამყარებული ობლიგაციების გასაცემად (მაგალითად, საკრედიტო რეიტინგების მიღებაში დახმარების გაწევის გზით).

დასკვნა

40. დიასპორის შემოსავლიანობა, დანაზოგები, ინვესტიციებისა და ინტერესთა სფეროს გაცნობა დაგვეხმარება, დავადგინოთ დიასპორისათვის საინტერესო პროგრამებისა და პროდუქტების ტიპი. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში უკვე არსებობს დაზოგვის მექანიზმები და შედარებით მცირე კაპიტალის ბაზარი, ამ ეტაპზე ყურადღება უნდა გამახვილდეს სხვადასხვა ტიპის ობლიგაციებზე.

41. ზოგადი დანაზოგისა და საინვესტიციო ჩვევის გათვალისწინებით, ქართული დიასპორის პრიორიტეტები ეფუძნება მაქსიმალური მოგების მიღებას. თუმცა, მნიშვნელოვანია ასევე შეფასდეს ნებისმიერი დამატებითი პრობლემა, როგორიცაა უსაფრთხოება და რისკი. ინსტიტუციური ნდობა ზოგად პრობლემას წარმოადგენს. ყოველივე ზემოთქმული მნიშვნელოვანი იქნება დიასპორის ობლიგაციების შემუშავებისას.

42. კარგად მოფიქრებული და განხორციელებული დიასპორის გამოკითხვა იქნება მნიშნელოვანი ფაქტორი ინფორმაციის უზრუნველსაყოფად, თუ როგორ შეიძლება ჩაერთოს მთავრობა ქართული დიასპორის საკითხებში დიასპორის ობლიგაციების შემუშავების პროცესში. დიასპორის გამოკითხვა გამოიყენებს როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ მეთოდებს. ფოკუს ჯგუფების განხილვები და შემთხვევითი, წარმომადგენლობითი გამოკითხვები უნდა იქნეს გამოყენებული ქართული

დიასპორის პროფილის შესაფასებლად.

43. სხვა დიასპორის ინვესტიციების გამოცდილებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი იქნება ვაღიაროთ და ვუპასუხოთ წარმოდგენებს რისკებზე, უსაფრთხოებასა და ნდობაზე, ეფექტური კომუნიკაციის, ინფორმაციისა და განათლების მეშვეობით და მარტივი ენის გამოყენების გზით. მკაცრი ანგარიშვალდებულებისა და რეალური წვდომის უზრუნველყოფით ხარისხიან ონლაინ ინფორმაციაზე, რაც აჩვენებს რეალურ პროგრესსა და შედეგს. ობლიგაციებთან დაკავშირებული გარკვეული აღიარებული გარანტიის ქონა ასევე დიდად დაგეხმარებათ. დიასპორის მიერ შემოთავაზებული სხვა მექანიზმია ისეთი კანონის ქონა, რომელიც იცავს ინვესტორებს და მათ ინვესტიციებს. ეს შესაძლებლობები განხილული და შემუშავებული უნდა იქნეს ობლიგაციებთან დაკავშირებული პროცესის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე.

44. დასაწყისისთვის, მცირე ინვესტორების ფართო წრეზე ორიენტირება ხელს შეუწყობს ფინანსური რისკების შემსუბუქებას. ამგვარი შემოთავაზების ადრეული წარმატება დაეხმარება ნდობის ჩამოყალიბებას. პროექტის დაწყება მოიზიდავს ინვესტიციებს. ობლიგაციის პოზიციონირება უნდა მოხდეს როგორც ძირითადად ინსტრუმენტისა, რომელიც გამოასწორებს ყოველდღიური ცხოვრების პირობებს ქართველებისთვის ფინანსური უკუგებით და არა როგორცფინანსური ინვესტიცია შემდგომ სოციალური უკუგებით. პირველ რიგში ეს აისახება ხალხის პატრიოტულ მოტივაციებზე. დიასპორის წევრები ქვეყნის მასშტაბით ხშირად აფიქსირებენ სურვილს, მოახდინონ ინვესტირება დიასპორის ობლიგაციებში, თუ მისი პირობები (ტარიფი, რისკი და ინტეგრაცია) იქნება თანაბარი ან სხვა მექანიზმებთან შედარებით უკეთესი.

45. სხვადასხვა ქვეყნის მიგრანტებთან კონსულტაციებისას, ისინი მუდმივად უთითებდნენ, რომ ობლიგაციების პირობებთან დაკავშირებით დიასპორა ირჩევდა ევროს. 5 წლიანი ვადიანობა, მინიმუმ 50 ევროს ნომინალური ღირებულებით, დასაწყისისთვის ყველაზე მისაღები აღმოჩნდა. გასაგები იყო ყიდვისა და შენახვის მიზეზი, იმდენად, რამდენადაც დასაშვები იყო დადგენილ საგანგებო სიტუაციებში თანხების ხელმისაწვდომობა (მცირედი ჯარიმით). მიგრანტების დიდმა ნაწილმა განაცხადა, რომ ისინი მოელოდნენ 1-2 პროცენტიან განაკვეთს საბაზრო განაკვეთის ზემოთ, ან ინფლაციის მაჩვენებელზე ერთი პუნქტით მეტს. მათ არჩიეს გადასახადებისგან გათავისუფლებული ინსტრუმენტი. მნიშნელოვანია გადამოწმდეს, ქართული დიასპორა იზიარებს თუ არა იგივეს.

46. მნიშნელოვანია დასაწყისშივე შემუშავდეს, განვითარდეს და განხორციელდეს მართვის სწორი მექანიზმი, გარე მესამე მხარეების გამოყენების ჩათვლით ზედამხედველობისა და ადმინისტრირებისთვის; შიდა მართვა და დიასპორის წარმომადგენლები; ან შერეული მოდელები.

47. ობლიგაცია უნდა გაიცეს კონკრეტული მიზნისა და პროექტისთვის. დიასპორას სურს იცოდეს თავისი დანაზოგის ბედი. აუცილებელია პროცესის განვითარება იმ მოლოდინით, თუ როგორც განისაზღვრება პირველი პროექტი, შერჩევის კრიტერიუმის ჩათვლით. უნდა მოხდეს კონკრეტული მიზნების იდენტიფიცირება, საავადმყოფოების,

ჯანდაცვის, განათლების, წყლის, ტრანსპორტის, ენერგიისა და სხვა ინფრასტრუქტურის ჩათვლით.

48. უნდა განვითარდეს ადგილობრივი ვალუტის დაფინანსების ინსტრუმენტები და გახდეს უფრო მეტად მიმზიდველი შიდა და საერთაშორისო ინვესტორებისთვის, მათ შორის დიასპორისთვის. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, აუცილებელია გაიზარდოს კაპიტალის ბაზრების სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩო კორპორატიული ანგარიშგებისა და გამჟღავნების, ინვესტორისა და მომხმარებლის დაცვის სფეროებში. უნდა განვითარდეს კოლექტიური საინვესტიციო სქემების, ვენჩურული და ანგელოზი ინვესტიციების და ჯგუფური დაფინანსების კანონმდებლობა და რეგულაცია. მყარი საბაზრო პრაქტიკის მარეგულირებელი შესაძლებლობა და აღსრულება, მართვა და უმცირესობების საინვესტიციო უფლებების დაცვა უნდა გაძლიერდეს ინვესტორთა რისკების შესამცირებლად, განსაკუთრებით კი ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზებების სფეროში. უნდა განვითარდეს დაფარული ობლიგაციების, ინფრასტრუქტურის ობლიგაციებისა და აქტივებით გამყარებული ფასიანი ქაღალდების გაცემის თაობაზე კანონმდებლობა და მოვიდეს თანხვედრაში ევროკავშირის კანონმდებლობასთან და საერთაშორისო პრაქტიკასთან. ქართული დიასპორა, განსაკუთრებით კი რუსეთში და სხვა მეზობელ ქვეყნებში მომუშავე მიგრანტები ასევე შესაძლოა შეუერთდნენ შემოთავაზებულ საკონტრიბუციო საპენსიო სქემას და შესაბამისად ხელი შეუწყონ საქართველოში უფრო გრძელვადიანი დანაზოგების მობილიზაციას.